

ბახვი 1 ჰესი

„სი-სი-ი-იი ჩაიდრო VI“

ჩვენ ვზრუნავთ ადამიანებზე, გარემოზე და რეგიონის განვითარებაზე

www.cceh.ge

პროექტის შესახებ

ბახვი 1 ჰიდროელექტროსადგურის პროექტი მდინარე ბახვისწყალზე

ბახვი 1 ჰესი არის მდინარე ბახვისწყალზე, დაგეგმილი, მცირე ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობის პროექტი. მისი დადგენილი სიმძლავრე არის 10.9 მეგავატი, წლიური გამომუშავება კი შეადგენს 43.1 მილიონ კილოვატსაათს.

გამომუშავებული ელექტროენერგიის გადაცემა განხორციელდება ელექტროსადგურში 110 კვ. ელექტროგადამცემი ხაზის მეშვეობით.

განსახორციელებელი პროექტი მოქცეულია ჩოხატაურის და ოზურგეთის მუნიციპალიტეტების ტერიტორიებზე. კურორტ ბახმაროსა და ჰესის სათავე ნაგებობას შორის სიმაღლეთა სხვაობა 140-მეტრიდან 200 მეტრამდეა.

ბახვი 1 ჰესის განმავითარებელი კომპანიაა სი-სი-ი-ი ჩაიდრო VI. ამ კომპანიის დამფუძნებელია საერთაშორისო კომპანია CCEH, რომელიც საქართველოში 2015 წლიდან ოპერირებს. CCEH-ს პორტფელში აქვს როგორც დასრულებული, ასევე, მიმდინარე ჰიდროენერგეტიკული პროექტები.

ბახვი 1 ჰიდროელექტროსადგურის პროექტის გარემოზე ზემოქმედების შეფასების საჯარო განხილვა 2022 წლის 10 და 11 თებერვალს შედგა ჩოხატაურში და ჩოხატაურის მუნიციპალურ ცენტრში, სოფელ ჩხაკურაში, ასევე ოზურგეთსა და ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ მთისპირში.

საჯარო განხილვა საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ორგანიზებით გაიმართა.

ბახვი 1 ჰიდროელექტროსადგურის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის საჯარო განხილვების ქრონიკა

მდინარე ბახვისწყალზე, ბუნებრივ ჩამონადენზე მომუშავე ბახვი 1 ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობისა და ექსპლუატაციის პროექტის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის საჯარო განხილვა 2022 წლის 10 თებერვალს ჩოხატაურსა და ოზურგეთში გაიმართა. 2022 წლის 11 თებერვალს კი ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ მთისპირსა და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ჩხაკურაში. საჯარო განხილვა საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ორგანიზებით ჩატარდა, შესაბამისად, პროექტის წარმდგენი სამინისტროს წარმომადგენელი გიორგი თევზაძე იყო. დეტალური პრეზენტაციები დამსწრე საზოგადოებას წარუდგინა პროექტის განმახორციელებელი კომპანიის გუნდმა. კერძოდ, დირექტორმა, მიხეილ ნიბლაძემ, ტექნიკურმა დირექტორმა გიგლა სიხარულიძემ და გარემოს დაცვისა და სოციალური საკითხების მენეჯერმა დავით მიქელაძემ. კომპანიამ სპეციალურად საჯარო განხილვისთვის მოიწვია ქალბატონი ნიკოლა ფოლკსი, საერთაშორისო კომპანიის SLR - ის ექსპერტი, რომელიც ბახვი 1 ჰიდროელექტროსადგურის საპროექტო ტერიტორიის ბიომრავალფეროვნების კვლევისა და სამოქმედო გეგმის ავტორია. ის ოთხივე განხილვას ესწრებოდა და ბი-

ომრავალფეროვნების საკითხის შესახებ გარემოსდამცველების მიერ გაუღებულ კითხვებს სცემდა პასუხებს.

საჯარო განხილვაზე დაინტერესებული პირების მუნიციპალურ ცენტრებში ჩამოყვანა ბახვი 1 ჰიდროელექტროსადგურის განმახორციელებელმა კომპანიამ უზრუნველყო. კომპანიამ, ასევე უზრუნველყო საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ გაკეთებული განცხადების, სადაც აღნიშნული იყო პროექტის განხილვის დრო და ადგილმდებარეობა, მაქსიმალური საჯაროობა. განხილვები, არსებულ კოვიდ რეგულაციებთან სრულ შესაბამისობაში ჩატარდა. თითოეული დამსწრე პირი უზრუნველყოფილი იყო პირბადით და სადეზინფექციო ხსნარით.

"გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის" თანახმად, გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიმდებარე უფლებამოსილი ორგანოს წარმომადგენს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო. ბახვი 1 ჰიდროელექტროსადგურის გზის ანგარიში საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ჩაბარდა 2021 წლის 20 დეკემბერს და სამინისტროს ოფიციალური გვერდზე გასაჯაროვდა 2021 წლის 23 დეკემბერს.

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული შენობა, 10.02. 2022 წელი, 10:00 საათი



ჩოხატაურში საჯარო განხილვას ესწრებოდნენ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერი დავით შარაშიძე, საკრებულოს თავმჯდომარე ირაკლი კუჭავა, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე ზაალ მამალაძე, საკრებულოს წევრები, მერიის აპარატის თანამშრომლები, არასამთავრობო ორგანიზაციების, მედიის და ბიზნესის წარმომადგენლები, ასევე ჩოხატაურის და საპროექტო ტერიტორი-

ის მიმდებარე არსებული სოფლების მოსახლეობა. საჯარო განხილვას ასევე, ესწრებოდნენ განმანათლებლო სექტორის წევრებიც. დარბაზში 40 დაინტერესებული პირი იყო წარმოდგენილი. დამსწრე საზოგადოებამ მხარდაჭერა გამოუცხადა პროექტს. აღინიშნა, რომ სამუშაოები, რომელიც კომპანიის მიერ ჩატარდა ერთი წლის განმავლობაში, მნიშვნელოვანი იყო, რადგან მოხდა

პროექტის მრავალი მიმართულებით გაუმჯობესება. კვლევები, რომელიც კომპანიამ განახორციელა საერთაშორისო დონის ექსპერტების ჩართულობით, პროექტის ტექნიკური პარამეტრების და მისი ადგილმდებარეობის ცვლილება, მნიშვნელოვანი იყო ადგილობრივებისთვის პროექტის მიმართ დადებითი განწყობების შექმნისა და პროექტის მხარდაჭერის პროცესში.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული შენობა 10.02. 2022 წელი, 16:30 საათი



ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ შენობაში საჯარო განხილვას ესწრებოდნენ, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერი ავთანდილ თალაკვაძე, მერიის აპარატის თანამშრომლები, არასამთავრობო სექტორის, მედიის, ბიზნესის წარმომადგენლები, ოზურგეთის და განსაკუთრებით პროექტის მიმდებარე არსებული სოფლების მოსახლეობა, მათ შორის სკოლისა და ბაღის პედაგოგები. შეხვედრაზე წარმოდგენილი იყო 61 დაინტერესებული პირი.

განხილვა კითხვა-პასუხის რეჟიმში წარიმართა. დამსწრე საზოგადოების მხრიდან აღინიშნა, რომ კომპანიამ დიდი შრომა გასწია მიმდებარე სოფლების მოსახლეობასთან მუშაობისა და ინფორმაციის მიწოდების კუთხით, რათა არსებული

საჭიროებების მიხედვით შექმნილიყო სოციალური პროგრამა. არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლებმა ხაზი გაუსვეს, რომ პროექტში შეიცვალა და გაუმჯობესდა ტექნიკური პარამეტრები, მნიშვნელოვნად შემცირდა შეგუბების ფართობი, უცხოელი ექსპერტების მიერ ჩატარებული კვლევების საფუძველზე შემოთავაზებული შემარბილებელი ღონისძიებები კი, მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს ზემოქმედების მინიმუმამდე დაყვანას.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ გარემოსდაცვითი ორგანიზაციის დამფუძნებლის, ქალბატონი ირმა გორდელაძის მიერ სამინისტროსა და კომპანიის მისამართით გაუღებულ რამდენიმე კითხვა, რომელზე პასუხებიც მას განხილვის დროს გასცეს, როგორც სამინისტროს, ასევე კომპანი-

ის წარმომადგენლებმა. ბიომრავალფეროვნების კვლევების შესახებ არსებულ კითხვებს საერთაშორისო კომპანიის SLR - ის ექსპერტმა ნიკოლა ფოლკსმაც გასცა. რამდენიმე კითხვა ჰქონდა საიას წარმომადგენელს გურიის მხარეში, ბატონ თამაზ ტრაპაიძეს. შეკითხვების პარალელურად, მან აღნიშნა, რომ კომპანიამ დიდი სამუშაო ჩაატარა, ასევე, გაითვალისწინა არასამთავრობო სექტორის რეკომენდაციები და საჯარო განხილვაზე წარმოდგენილი პროექტი მნიშვნელოვნად შეცვლილი და გაუმჯობესებულია.

აღსანიშნავია, რომ საჯარო განხილვაზე დამსწრე მთისპირის თემის სოფლების მოსახლეობის წარმომადგენლებმა სრული მხარდაჭერა გამოუცხადეს პროექტს.

ბაზვი 1 ჰიდროელექტროსადგურის გარემოზე გავლენის შეფასების ანგარიშის საჯარო განხილვების ქრონიკა

მთისპირის ადმინისტრაციული შენობა, 11.02.2022

სოფელ მთისპირის ადმინისტრაციულ შენობებში საჯარო განხილვას ესწრებოდნენ ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლები, კერძოდ მთისპირის თემში მერის წარმომადგენელი ვლადიმერ ჩავლეშვილი, საჯარო სკოლისა და ბაღის ხელმძღვანელები და პედაგოგები და მთისპირის თემის ოთხივე სოფლის (მთისპირი, ოქროსქედი, ვანის-ქედი, უკანავე) მოსახლეობა. დარბაზში 40 დაინტერესებული პირი იყო წარმოდგენილი. ბაზვი 1 ჰიდროელექტროსადგურის პროექტის წარდგენის შემდეგ, მთისპირის მოსახლეობამ ბევრი ისაუბრა იმ გამოცდილებაზე, რომელიც პროექტის განმახორციელებელ კომპანიასთან ერთი წლის მანძილზე მუშაობის შედეგად დაუგროვდა. აქვე აღინიშნა, რომ სწორედ ამ მუშაობის შედეგია სოციალური პროგრამა, რომელიც რეალურად არსებულ საჭიროებებს და გამოწვევებს პასუხობს. აღსანიშნავია, რომ მოსახლეობის ინტერესის სფერო დასაქმების შესაძლებლობები და სოციალური პროექტებია, მათ შორის ინფრასტრუქტურული პროექტები. შესაბამისად, მოსახლეობას აქვს მზაობა ხელი შეუწყოს ნებართვების მოპოვების პროცესში კომპანიას.



ჩხაპურის ადმინისტრაციული შენობა, 11.02.2022

სოფელ ჩხაპურას ადმინისტრაციულ შენობებში გამართულ საჯარო განხილვას სოფლის მოსახლეობა სრული შემადგენლობით ესწრებოდა. დარბაზში 27 დაინტერესებული პირი იყო წარმოდგენილი. განხილვას ესწრებოდნენ ბახმაროსა და ჩხაპურაში მერის წარმომადგენლები რომან კალანდაძე და ნოდარ ირემაძე. შეხვედრას შემოუერთდა ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერი დავით შარაშიძე. ბაზვი 1 ჰიდროელექტროსადგურის პროექტის წარდგენის შემდგომ, ფრიად საინტერესო დისკუსია გაიმართა მოსახლეობასა და კომპანიის წარმომადგენლებს შორის. მოსახლეობის დიდი ინტერესი გამოიწვია როგორც გარემოს დაცვის საკითხებმა, ასევე იმ სოციალურმა პროექტებმა, რომელიც კომპანიას სოფელში აქვს დაგეგმილი. სოფლის მოსახლეობისთვის მნიშვნელოვანი კომპონენტია დასაქმების შესაძლებლობებიც. ყველაზე დიდი მოწონება იმ საგანმანათლებლო პროექტებმა დაიმსახურეს, რომელიც განერილია სამოქმედო გეგმაში, როგორც კომპანიის პრიორიტეტი. უნდა აღინიშნოს, რომ ჩხაპურას მოსახლეობა ემხრობა პროექტს და დიდი იმედით ელოდება სოციალური პროექტების განხორციელებას.



ბაზვი 1 ჰიდროელექტროსადგურის საგრანტო პონაპურსი გამოცხადდა

ბაზვი 1 ჰიდროელექტროსადგურის პროექტის განმახორციელებელი კომპანიის სი-სი-ი-ეიჩ ჰაიდრო VI-ის მიერ შემუშავებული სოციალური პროგრამა გრძელდება. უკვე 2022 წლის გაზაფხულიდან, მთისპირის საჯარო სკოლის უფროსკლასელებისთვის ხელმისაწვდომი იქნება განახლებადი ენერგიის მიმართულებით ცნობიერების ასამაღლებელი ტრენინგები.

კომპანიამ სი-სი-ი-ეიჩ ჰაიდრო VI 2022 წლის 14 თებერვალს საგრანტო პროგრამაზე კონკურსი გამოაცხადა. განცხადება განთავსდა ვებ-პორტალზე: www.jobs.ge. სრული ტექსტის ნახვა დაინტერესებულ პირებს მიითხოვება ბმულის საშუალებით შეუძლიათ: <https://jobs.ge/ge/ads/?view=jobs&id=354692> პროგრამის მიზანია განახლებადი ენერგიის მიმართულებით ცნობიერების ასამაღლებელი არაფორმალური განათლების კურსის შემუშავება და განხორციელება ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ მთისპირის საჯარო სკოლის უფროსკლასელებისთვის, კერძოდ მე-9-12 კლასის მოსწავლეებისთვის.

აღნიშნული ინიციატივა გულისხმობს განახლებადი ენერგიების მიმართულებით ცოდნის გაზიარებას, რამაც შესაძლოა ხელი შეუწყოს ახალგაზრდებს სამომავლო პროფესიის შერჩევის დროს. "მოგვსენებათ, რომ ჩვენი პროექტის სოციალური პროგრამა ადგილობრივ მოსახლეობასთან კონსულტაციების შედეგად შემუშავდა. მოხარული ვარ, რომ კომპანიის და მოსახლეობის ხელდა დიდ წილად დაეხმება ერთმანეთს. მიგვაჩნია, რომ მომავალი თაობის განათლების ხელშეწყობა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრიორიტეტიცაა. ცნობიერების

ამაღლება განახლებადი ენერგიების მიმართულებით და პროფესიული ორიენტაცია მოთხოვნილი კომპონენტია უფროსკლასელების სემინარში, _ განაცხადა პროექტის გარემოს დაცვისა და სოციალური საკითხების მენეჯერმა, დავით მიქელაძემ.

შერჩევის გამჭვირვალე პროცესის უზრუნველყოფის მიზნით, საპროექტო წინადადებები განხილვება ბაზვი 1 ჰიდროელექტროსადგურის პროექტის გარემოსდაცვით და სოციალურ საკითხებზე მომუშავე მრჩეველთა საბჭოს მიერ, რომელიც შედგება ოზურგეთისა და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის თვითმმართველობების, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების, ადგილობრივი ბიზნესისა და მედიის წარმომადგენლებისგან. აღნიშნული პროგრამის განხორციელება უნდა დაიწყოს მიმდინარე წლის მარტის თვეში და გაგრძელდეს სასწავლო წლის დასრულებამდე (მიმდინარე წლის ივნისი).



დავით მიქელაძე

თქვენი მოსაზრებები და შეკითხვები, ჩვენთვის მნიშვნელოვანია!

პომპანია სი-სი-ი-ეიჩ ჰაიდრო VI-ის გუნდი მუდმივად დიალოგის რეჟიმშია ყველა დაინტერესებულ მხარესთან.

ეს საინფორმაციო გამოცემა სწორედ მოსახლეობასთან კომუნიკაციის ერთ-ერთი საშუალებაა, რომელსაც ყოველთვიური საინფორმაციო ბიულეტენის სახე აქვს.

ჩვენი მიზანია, პროექტის განვითარების სხვადასხვა ეტაპზე, დროული და საინფორმაციო ინფორმაცია მოგაწოდოთ და ასევე, გავიგოთ თქვენი მოსაზრებები და რეკომენდაციები.

გთხოვთ, გაგზიაროთ კითხვები და მოსაზრებები პომპანიის ელექტრონული ფოსტის მისამართზე: info@cceh.ge

ენვით ჩვენს ვებ-გვერდს www.cceh.ge და მიიღეთ დეტალური, მუდმივად განახლებადი ინფორმაცია ბაზვი 1 ჰესის შესახებ.

შპს "სი-სი-ი-ეიჩ ჰაიდრო VI"-ის მენეჯმენტი

ბახვი 1 ჰესი

„სი-სი-ი-იი ჩაიდრო VI“

ჩვენ ვზრუნავთ ადამიანებზე, გარემოზე
და რეგიონის განვითარებაზე
www.cceh.ge

პროექტის შესახებ

ბახვი 1
ჰიდროელექტროსადგურის
პროექტი
მდინარე
ბახვისწყალზე

ბახვი 1 ჰესი არის მდინარე ბახვისწყალზე, დაგეგმილი, მცირე ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობის პროექტი.

მისი დადგენილი სიმძლავრე არის 10.9 მეგავატი, წლიური გამომუშავება კი შეადგენს 43.1 მილიონ კილოვატსაათს.

გამომუშავებული ელექტროენერგიის გადაცემა განხორციელდება ელექტროქსელზე 110 კვ. ელექტროგადამცემი ხაზის მეშვეობით.

განსახორციელებელი პროექტი მოქცეულია ჩოხატაურის და ოზურგეთის მუნიციპალიტეტების ტერიტორიებზე. კურორტ ბახმაროსა და ჰესის სათავე ნაგებობას შორის სიმაღლეთა სხვაობა 140-მეტრიდან 200 მეტრამდეა.

ბახვი 1 ჰესის განმავითარებელი კომპანიაა სი სი ი ეი ჩაიდრო VI. ამ კომპანიის დამფუძნებელია საერთაშორისო კომპანია CCEH, რომელიც საქართველოში 2015 წლიდან ოპერირებს. CCEH-ს პორტფელში აქვს როგორც დასრულებული, ასევე, მიმდინარე ჰიდროენერგეტიკული პროექტები.

ბახვი 1 ჰიდროელექტროსადგურის პროექტის გარემოზე ზემოქმედების შეფასების საჯარო განხილვა 2022 წლის 10 და 11 თებერვალს შედგა ჩოხატაურში და ჩოხატაურის მუნიციპალურ ცენტრში, სოფელ ჩხაკაურაში, ასევე ოზურგეთსა და ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ მთისპირში.

საჯარო განხილვა საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ორგანიზებით გაიმართა.

ბახვი 1 ჰიდროელექტროსადგურის ოზურგეთის ოფისი სრული დაბვირთვით მუშაობს

ინტეგრირებული ბახვი 1 ჰიდროელექტროსადგურის პროექტის განმავითარებელი კომპანიის სი-სი-ი-იი-ჩაიდრო VI-ის დირექტორთან, მიხეილ ნიკოლაშვილთან

— ბატონო მიხეილ, პირველ რიგში აუცილებლად მინდა აღვნიშნო, რომ ბახვი 1 ჰიდროელექტროსადგურის გარემოზე ზემოქმედების შეფასების საჯარო მოსმენები მაღალ დონეზე ჩატარდა. აშკარად შესამჩნევია იყო, რომ პროექტით კმაყოფილია მოსახლეობა და უფრო მეტიც, ექსპერტები კიდევ მისი განხორციელება. როგორ მოახერხეთ ასეთი განწყობების მოპოვება?

— ვფიქრობ, იმით რომ გულწრფელები ვართ. ვაკეთებთ საქმეს, რომელიც კომპეტენტურები ვართ, გამჭვირვალედ ვმუშაობთ და ყოველთვის ვცდილობთ, გავითვალისწინოთ არსებული საჭიროებები, გარემოებები და დაინტერესებული მხარეების კომპეტენტური მოსაზრებები, არასდროს გავცემთ ისეთ დაპირებებს, რომლებსაც ვერ შევასრულებთ. ვფიქრობ, ეს ყველაფერი დაინახა მოსახლეობამ და სწორედ ამიტომ არის, რომ დაგვიდგნენ გვერდით და გამოხატეს საკუთარი აზრი პროექტზე, რომელიც ორივე მხარეს, ანუ ჩვენც და მოსახლეობასაც, გვინდა, რომ იყოს სამაგალითო. გვინდა, შევქმნათ პრეცედენტი და ავაშენოთ ჰიდროელექტროსადგური, რომელიც მისაღები იქნება თითოეული დაინტერესებული მხარისთვის. მგონი დადგა ამისი დრო.

— თუ შეგიძლიათ გვითხრათ ამ ეტაპზე რას საქმიანობთ?

— ამჟამად ძალიან აქტიურად ვმუშაობთ იმ დაპირებების შესრულებაზე, რაც მოსახლეობასთან შეხვედრების და განხილვების დროს გავცეთ. მოგეხსენებათ, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტი ჩვენს საქმიანობაში, გარდა ცხადია, თავად ჰიდროელექტროსადგურის აშენებისა და მისი ოპერირებისა,

არის სოციალური პროექტების განხორციელება და იმ ღონისძიებების გატარება, რომელიც გარემოს დაცვას უწყობს ხელს. სოციალურ პროგრამაში არის მთელი რიგი პროექტებისა, რომლის განხორციელებაც აპრილში დაიწყება. ასევე, არის პროექტები, რომელიც ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობის დაწყების დროს ჩაეშვება.

— შეგიძლიათ ჩამოგვითვალოთ პროექტები, რომლებსაც ახლა იწყებთ?

— აპრილის თვე საკმაოდ აქტიური გვექნება, რადგან აპრილში იწყება რამდენიმე პროექტი, ძირითადად საგანმანათლებლო სახის. ჩვენი თანამშრომლები ყოველდღიურ რეჟიმში აქტიურად მუშაობენ ადგილობრივებთან. სხვადასხვა დაინტერესებულ ჯგუფებთან. მოსახლეობის მაღალი ინფორმირებულობის მიზნით, ვაგრძელებთ ახალი ამბების ფურცლის გამოცემას და მის დარიგებას მოსახლეობაში, გვაქვს შეხვედრები მრჩეველთა საბჭოს წევრებთან და მათთან ერთად გავდივართ ყველა საინტერესო საკითხს. ვისმენთ მათ მოსაზრებებს და ვითვალისწინებთ კიდევ. აპრილის თვეში განსახორციელებელი პროექტების ჩამონათვალი ასეთია:

1) აპრილიდან დაიწყებთ შშმ პირებისთვის სპეციალურ დახმარების პროგრამა, რომლის ფარგლებშიც ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მთისპირის თემში, კერძოდ მთისპირში, უკანაავაში, ოქროსქედსა და ვანისქედში, ასევე, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ჩხაკაურაში მცხოვრები მკვეთრად და მნიშვნელოვნად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე პირები მიიღებენ ყოველთვიურ ფულად დახმარებას. მოცემულ



საქმიანობას ჩვენ განვიხილავთ, როგორც გრძელვადიან პროგრამას; 2) აპრილიდან დაიწყება ჩვენი საგანმანათლებლო პროექტები. ა) მთისპირისა და ჩხაკაურას სკოლების მასწავლებლებისა და საბავშვო ბაღის აღმზრდელებისთვის სპეციალური ტრენინგ მოდული განათლების რეფორმის საკვანძო მიმართულებების გაცნობისა და სასწავლო პროცესის დაგეგმვის, წარმართვისა და შეფასების უკეთესი განიზიარების კუთხით; ბ) მთისპირის საჯარო სკოლის უფროსკლასელთათვის განახლებადი ენერგიების და პროფესიული ორიენტაციის მიმართულებით ცნობიერების ასაშენებელი ტრენინგ კურსი; 3) USAID-ისთან თანამშრომლობის ფარგლებში გვაქვს რამდენიმე

მე მნიშვნელოვანი პროექტი. ამჟამად, ვანარმოვებთ შესწავლას და ხდება პროექტების ბიუჯეტირება; ეს ის პროექტებია, რომლებიც ახლა მუშავდება და ხორციელდება. ჩვენი ოზურგეთის ოფისი აქტიურ ფაზაში აგრძელებს სამუშაოებს და როგორც ადგილობრივი კადრები, ასევე სათაო ოფისის გუნდი დროს და ენერგიას არ ზოგავენ ყველა ზემოთ გასულერებული პროექტის წარმატებისთვის. იცით ჩვენი ხედვა და მიდგომა. რაც მთავარია ვრჩებით დიალოგის რეჟიმში ყველა დაინტერესებულ მხარესთან. ჩვენი სურვილია, განვაგრძოთ ის სოფლები, რომლებიც ჩვენი პარტნიორები ხდებიან. მიგვაჩნია, რომ ძლიერი სოფელი წარმატებული ქვეყნის საწინდარია

ბახვი 1 ჰიდროელექტროსადგურის მრჩეველთა საბჭოს მარტის სამუშაო შეხვედრა

2022 წლის 16 მარტს, ბახვი 1 ჰიდროელექტროსადგურის ოზურგეთის ოფისში (მ. კოსტავას 25, ოზურგეთი) პროექტის მენეჯმენტისა და გარემოს დაცვით და სოციალურ საკითხებზე მომუშავე საბჭოს მორიგი შეხვედრა გაიმართა.

შეხვედრის მიზანი იყო, ბახვი 1 ჰიდროელექტროსადგურის გარემოზე ზემოქმედების შეფასების საჯარო განხილვების შეჯამება, რომელიც თებერვალში ჩოხატაურში, სოფელ ჩხაკაურაში, ოზურგეთსა და სოფელ მთისპირში გაიმართა საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ორგანიზებით.

როს ორგანიზებით; ასევე, ბახვი 1 ჰესის წარმომადგენლებმა საბჭოს წევრებს გააცნეს 2022 წლის მეორე კვარტალში ოზურგეთის და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტებში არსებულ სოფლებში — მთისპირში, ჩხაკაურასა და კურორტ ბახმაროში დაგეგმილი სოციალური პროექტები.



განათლება ჩვენი პრიორიტეტი!

ინტერვიუ ბახვი 1 ჰიდროელექტროსადგურის პროექტის განმავითარებელი კომპანიის სი-სი-ი-ეიჩ-ჰაიდრო VI - ის გარემოს დაცვისა და სოციალური პროექტების მენეჯერთან, დავით მიქელაქესთან

– ბატონო დავით, აპრილში რამდენიმე საგანმანათლებლო პროექტი იღებს სტარტს. მოგვიყვით უფრო დეტალურად ამ პროექტების შესახებ, თუ შეიძლება?

– დაგეთანხმებით, აპრილში ვინყვით ჩვენი საგანმანათლებლო პროექტების განხორციელებას. შესაბამისად, მარტი საკმაოდ დატვირთული თვე გამოდგა მოსამზადებელი სამუშაოების თვალსაზრისით. 1,2,3 აპრილს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მთისპირის საჯარო სკოლის, საბავშვო ბაღის და ასევე, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ჩხაკაურას საჯარო სკოლის პედაგოგები, მათთან ერთად კი, ორივე მუნიციპალიტეტის რესურსცენტრების ხელმძღვანელები (42 პედაგოგი) დაესწრებიან ბახვი 1 ჰიდროელექტროსადგურის მიერ ორგანიზებულ ტრენინგს, რომელსაც საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ექსპერტები ჩაატარებენ. ტრენინგი მიზნად ისახავს, მონაწილეებისთვის ზოგადი განათლების რეფორმის საკვანძო მიმართულებების გაცნობას, სასწავლო პროცესის დაგეგმვის, წარმართვისა და შეფასების სწავლებას. ეს არის თანამედროვე მიდგომა, რომელსაც რეფორმის სახით ეტაპობრივად წერგავს სამინისტრო. ჩვენი პედაგოგები სწორედ, რეფორმის ექსპერტებისგან მიიღებენ ინფორმაციას ახალი მიმართულებების შესახებ.

– როგორც ვიცით, აპრილშია დაგეგმილი სოციალური ტრენინგი მთისპირის თემის საჯარო სკოლის მოსწავლეებისთვის. დეტალები რომ გვითხრათ, რას ითვალისწინებს სწავლება და ვისთვისაა ზუსტად განკუთვნილი? ასევე, ჩაერთვება თუ არა ამ პროექტში სოფელ ჩხაკაურას საჯარო სკოლაც?

– აპრილის პირველი დეკადის ბოლოს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ მთისპირის საჯარო სკოლაში დაიწყება ტრენინგი, რომელიც მიზნად ისახავს მოსწავლეებში ცნობიერების ამაღლებას განახლებად ენერგიებზე, გარემოს დაცვასა და თანამედროვე, მოთხოვნად პროფესიებზე. კურსი განკუთვნილია უფროსკლასელებისთვის, უფრო კონკრეტულად 9,10,11,12 კლასის მოსწავლეებისთვის. გვსურს, გავაცნოთ მოზარდებს ის სიახლეები, რომელიც ამ მიმართულებით დაგროვდა. ის, რომ 21-ე საუკუნეში დასაქმების

ბაზარი მნიშვნელოვნად შეიცვალა, გაჩნდა მოთხოვნილება ისეთ პროფესიებზე, როგორიცაა ჰიდროენერგეტიკოსი, ელექტროინჟინერი ან გარემოსდამცველი. ეს პროფესიები, როგორც აღვნიშნე, მოთხოვნადი და მაღალანაზღაურებადიც. გვინდა, მოზარდებს ვასწავლოთ, თუ როგორ გაუფრთხილდნენ ბუნებას, ასევე, გავაზიაროთ ცოდნა განახლებად ენერგიებზე, რა არის ჰიდროენერგეტიკა, როგორ მუშაობს ჰიდროელექტროსადგური და რატომ სჭირდება ქვეყანას საკუთარი ენერგორესურსი. ფრიად საინტერესო პროგრამაა, საინტერესო ლექტორებით და მონვეული სტუმრებით. სასწავლო კურსი სემესტრის ბოლომდე გაგრძელდება და ექსკურსიით დასრულდება. ექსკურსიის ფარგლებში მოსწავლეებს მოქმედ ჰიდროელექტროსადგურს დავათვალიერებინებთ და ადგილზე გავაცნობთ მისი მუშაობის თავისებურებებს.

აღსანიშნავია, რომ ეს პროგრამა სექტემბრის თვიდან კვლავ გაგრძელდება მთისპირის სკოლაში. რაც შეეხება, თქვენს კითხვას ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ჩხაკაურას სკოლასთან დაკავშირებით, მოგვხსენებათ, ჩხაკაურას საჯარო სკოლა სექტემბრიდან ახალ შენობაში გადადის და უკვე, იქ, ახალ სივრცეში ჩატარდება უფროსკლასელებისთვის განკუთვნილი ტრენინგ პროგრამა.

– თქვენს სოციალურ პროგრამაში, განათლების მიმართულებით კიდევ ერთი საინტერესო პროექტია, რომელიც მე პირადად ძალიან მომწონს და მიმაჩნია, რომ თავის შედეგებს გამოიღებს. გვულისხმობ, ჰიდროენერგეტიკის, გარემოს დაცვისა და ელექტრო ინჟინერიის ფაკულტეტებზე სწავლების ხელშეწყობის პროექტს.

– დიდი მადლობა ასეთი შეფასებისთვის. დაგეთანხმებით, სწორედ ეს არის მდგრადი პროექტი, რომელიც გრძელვადიან პერსპექტივაში თავის დადებით შედეგს აუცილებლად გვაჩვენებს. დიახ, ეს სწორედ ის პროფესიებია, რომლის სპეციალისტებიც თითქმის აღარ გვყავს. გვინდა, დავაინტერესოთ ახალი თაობა, ხელი შევუწყოთ სწავლაში და შემდეგ, ჩვენს ჰიდროელექტროსადგურებზე დავასაქმოთ კიდევ. განათლებული თაობა უნდა დაუბრუნდეს სოფელს, ამის გარანტი კი ადგილზე სამუშაო ადგილების შექმნაა.



მთისპირის საბავშვო ბაღი



მთისპირის საჯარო სკოლა

თქვენი მოსაზრებები და შეკითხვები, ჩვენთვის მნიშვნელოვანია!

კომპანია სი-სი-ი-ეიჩ-ჰაიდრო VI-ის გუნდი მუდმივად ღიაა თქვენთვის.

ეს საინფორმაციო გამოცემა სწორედ მოსახლეობასთან კომუნიკაციის ერთ-ერთი საშუალებაა, რომელსაც ყოველთვიური საინფორმაციო ბიულეტენის სახე აქვს.

ჩვენი მიზანია, პროექტის განვითარების სხვადასხვა ეტაპზე, დროული და საინფორმაციო ინფორმაცია მოგაწოდოთ და ასევე, გავიზოთ თქვენი მოსაზრებები და რეკომენდაციები.

გთხოვთ, გაგვიზიაროთ კითხვები და მოსაზრებები კომპანიის ელექტრონული ფოსტის მისამართზე: info@cceh.ge

ენებზე ჩვენს ვებ-გვერდს www.cceh.ge და მიიღეთ დეტალური, მუდმივად განახლებადი ინფორმაცია ბახვი 1 ჰესის შესახებ.

შპს "სი-სი-ი-ეიჩ-ჰაიდრო VI"-ის მენეჯმენტი

ბახვი 1 ჰესი

„სი-სი-ი-იიჩ ჰაიდრო VI“

ჩვენ ვზრუნავთ ადამიანებზე, გარემოზე
და რეგიონის განვითარებაზე
www.cceh.ge

პროექტის შესახებ

ბახვი 1 ჰიდროელექტროსადგურის პროექტი მდინარე ბახვისწყალზე

ბახვი 1 ჰესი არის მდინარე ბახვისწყალზე, დაგეგმილი, მცირე ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობის პროექტი. მისი დადგენილი სიმძლავრე არის 10.9 მეგავატი, წლიური გამომუშავება კი შეადგენს 43.1 მილიონ კილოვატსაათს.

გამომუშავებული ელექტროენერგიის გადაცემა განხორციელდება ელექტროქსელზე 110 კვ. ელექტროგადამცემი ხაზის მეშვეობით.

განსახორციელებელი პროექტი მოქცეულია ჩოხატაურის და ოზურგეთის მუნიციპალიტეტების ტერიტორიებზე. კურორტ ბახმაროსა და ჰესის სათავე ნაგებობას შორის სიმაღლეთა სხვაობა 140-მეტრიდან 200 მეტრამდეა.

ბახვი 1 ჰესის განმავითარებელი კომპანიაა სი სი ი ეჩ ჰაიდრო VI. ამ კომპანიის დამფუძნებელია საერთაშორისო კომპანია CCEH, რომელიც საქართველოში 2015 წლიდან ოპერირებს. CCEH-ს პორტფელში აქვს როგორც დასრულებული, ასევე, მიმდინარე ჰიდროენერგეტიკული პროექტები.

ბახვი 1 ჰიდროელექტროსადგურის პროექტის გარემოზე ზემოქმედების შეფასების საჯარო განხილვა 2022 წლის 10 და 11 თებერვალს შედგა ჩოხატაურში და ჩოხატაურის მუნიციპალურ ცენტრში, სოფელ ჩხაკაურაში, ასევე ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ მთისპირში.

საჯარო განხილვა საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ორგანიზებით გაიმართა.



ჩვენო ძვირფასო მკითხველებო,
გილოცავთ აღდგომის ბრწყინვალე
დღესასწაულს

ბახვი 1 ჰიდროელექტროსადგურის სოციალური პროგრამა 2022 წელს მასშავლებლების ტრენინგით გაიხსნა

2022 წლის 1, 2 და 3 აპრილს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მთისპირის საჯარო სკოლის, საბავშვო ბაღის და ასევე, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ჩხაკაურას საჯარო სკოლის პედაგოგები, მათთან ერთად კი, ორივე მუნიციპალიტეტის რესურსცენტრების ხელმძღვანელები (42 პედაგოგი) ბახვი 1 ჰიდროელექტროსადგურის მიერ სპეციალურად პედაგოგებისთვის დაგეგმილ და ორგანიზებულ სასწავლო ტრენინგს დაესწრნენ.



პედაგოგთა ტრენინგმოდულის პროგრამა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ექსპერტებთან ერთად შემუშავდა და მიზნად ისახავს, მონაწილეებისთვის ზოგადი განათლების რეფორმის ფარგლებში საკვანძო მიმართულებების გაცნობას, სასწავლო პროცესის დაგეგმვის, წარმართვისა და შეფასების უკეთ ორგანიზების მიზნით ინფორმაციის მიწოდებას. ეს არის თანამედროვე მიდგომა, რომელსაც რეფორმის სახით ეტაპობრივად წერგავს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო. პედაგოგებმა სწორედ, ამ რეფორმის ექსპერტებისგან მიიღეს ინფორმაციას ახალი მიმართულებების შესახებ.

"განათლების ხელშეწყობის კომპო-

ნენტი სერიოზულ და მნიშვნელოვან ადგილს იკავებს ბახვი 1 ჰიდროელექტროსადგურის სოციალურ პროგრამაში, რომელიც, როგორც უკვე იცით, მოსახლეობასთან ერთად შემუშავდა. ჩვენ შევიმუშავეთ პროექტები, რომლებიც პასუხობს როგორც საბავშვო ბაღის აღსაზრდელებისთვის, ასევე სკოლის მოსწავლეებისთვის და სტუდენტებისთვისაც არსებულ გამოწვევებს. მიგვაჩნია, რომ ამ ქრილში პედაგოგების პროფესიული განვითარება უზნიშვნელოვანესია. ისინი უნდა ფლობდნენ ინფორმაციას სექტორში მიმდინარე სიახლეების შესახებ და გამოიყენონ ეს ცოდნა აღსაზრდელებთან მუშაობისას. სწორედ, ამიტომაც მოვიწვიეთ სამინისტროს ექსპერტე-

ბი, მათ მიერ შემოთავაზებული მოდული იმდენად საინტერესო აღმოჩნდა პედაგოგებისთვის, რომ პრაქტიკულად 100%-იანი დასწრება გვაქვს ტრენინგზე", _ განაცხადა ბახვი 1 ჰიდროელექტროსადგურის პროექტის გარემოს დაცვისა და სოციალური საკითხების მენეჯერმა, დავით მიქელაძემ.

"თუ ერთნაირი გეგმები გავქვს _ ბრინჯი დათესი; თუ ათნაირი გეგმები გავქვს _ ხეები დარგი; ხოლო თუ ასრლიანი გეგმები გავქვს - განათლება მიეცემა ბავშვებს", _ კონფუციუს ამ ციტატით დაიწყო საკუთარი ინტერვიუ ქალბატონმა ნანა ჭეიშვილმა, რომელიც მთისპირის საჯარო სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელია.

"ქვეყნის მდგრადი განვითარებისთვის განათლების სისტემა პრიორიტეტი უნდა იყოს, პედაგოგები უნდა ფლობდნენ უახლეს ინფორმაციას განათლების სექტორში მიმდინარე პროცესების შესახებ და ეს ცოდნა, აღსაზრდელებთან მუშაობისას პრაქტიკაში განუხრელად უნდა დაენერგონ. ამის ნათელი დადასტურება იყო ბახვი 1 ჰიდროელექტროსადგურის მიერ სპეციალურად მთისპირისა და ჩხაკაურას საჯარო სკოლების და მთისპირის საბავშვო ბაღის პედაგოგებისთვის 2022 წლის 1-3 აპრილს ორგანიზებული სასწავლო ტრენინგი. შედეგმა მოლოდინს გადააჭარბა და საოცარი თანამშრომლობის, აზრთა გაცვლა-გაზიარების ატმოსფეროში შეუმჩნევლად განვლილმა დრომ ბევრი საინტერესო საკითხი, სკოლის საჭიროებო პრობლემები წარმოაჩინა. ადამიანები, რომლებიც იმაზე მეტს აკეთებენ, ვიდრე ვალდებულნი არიან, აუცილებლად იმსახურებენ მაღლობას და ჩვენი უსაზღვრო მადლობა ამ ტრენინგის თითოეული ღირებული და სამახსოვრო დღისთვის ბახვი 1 ჰიდროელექტროსადგურის მენეჯერებს. ამ მადლობას არა მხოლოდ ჩემი სახელით, არამედ მთისპირის საჯარო სკოლის პედაგოგთა, მთისპირის საბავშვო ბაღის აღმზრდელთა სახელით ვიხდით, რადგან ყველა დამსწრე უზომოდ ემაყოფილა მოცემული ტრენინგით", _ განაცხადა ნანა ჭეიშვილმა ჩვენთან საუბარში.

"ბახვი 1 ჰიდროელექტროსადგურის პროექტის ფარგლებში ორგანიზებული ტრენინგი საინტერესო, ეფექტური და ნაყოფიერი იყო. ტრენინგი მიმდინარეობდა კითხვა-პასუხის რეჟიმში. ბოლოს გაიმართა საინტერესო დისკუსია. აღნიშნულ შეხვედრაზე შედგა თანამშრომლობა ორ სკოლას შორის. ასევე, სასიამოვნო და საინტერესო იყო გარემო თავისი სანახაობებით.

ჩხაკაურას საჯარო სკოლის სახელით მინდა "ბახვი 1" ჰესის ხელმძღვანელობას და მათ წარმომადგენლებს ამ შესაძლებლობისთვის დიდი მადლობა გადავუხადო", _ აცხადებს ქალბატონი ალა მარი, ჩხაკაურას საჯარო სკოლის დირექტორი.

ტრენინგი "გარემოს დაცვა და განახლებადი ენერგიები" მთისპირის საჯარო სკოლის უფროსკლასელთათვის

2022 წლის 13 აპრილს, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ მთისპირის საჯარო სკოლის უფროსკლასელთათვის (9,10,11,12 კლასები), ბაზვი 1 ჰიდროელექტროსადგურის მიერ გამოცხადებული სოციალური პროგრამის საგანმანათლებლო პროექტების ფარგლებში, არაფორმალური სახის სასწავლო ტრენინგკურსის პირველი შეხვედრა ჩატარდა. კურსი მიზნად ისახავს მთისპირის საჯარო სკოლის უფროსკლასელებში ცნობიერების ამაღლებას გარემოს დაცვით საკითხებში, ასევე, ცოდნის გაზიარებას განახლებადი ენერგიის კონცეფციის შესახებ და მათთვის ინფორმაციის მიწოდებას პროფესიულ ორიენტაციის საკითხების ირგვლივ.

გარემოს დაცვით საფუძვლებსა და განახლებად ენერგიის მოდულს წარუძღვება გიორგი ბერეგიძე, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს, სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს ტყის მოვლა-აღდგენის დეპარტამენტის ტყის დაცვის სამმართველოს უფროსი; პროფესიული ორიენტაციის შესახებ ისაუბრებს ქეთევან ლოზაძე, ფსიქოლოგი, "ინსაით" ჯგუფის დამფუძნებელი და HR მენეჯერი. პროფესიული ორიენტაცია განსაკუთრებით საჭიროა უფროსკლასელთათვის და მიზნად ისახავს აბიტურიენტების დახმარებას, რათა მათ შეძლონ მომავლის პროფესიის სწორად შერჩევა; კომუნიკაციების შესახებ შეხვედრას ჩატარებს ბათუნა იოსავა, საზოგადოებასთან ურთიერთობის ექსპერტი, კავკასიის უნივერსიტეტის მონვეული ლექტორი 2015 წლიდან. კომუნიკაციის ლექციის ფარგლებში, ახალგაზრდები ბევრს გაიგებენ მედიაზე და მის როლსა და ფუნქციაზე საზოგადოებაში, ასევე, ისწავლიან როგორ განასხვავონ ნამდვილი და "ფეიკ" ანუ გამოგონილი, გაყალბებული ამბავი ერთმანეთისგან.

სასწავლო კურსი არაფორმალური განათლების ნაწილია და მოიცავს 6 ტრენინგს, ხოლო სასწავლო წლის ბოლოს ექსკურსიას მოქმედ ჰიდროელექტროსადგურზე, სადაც მოსწავლეები ნახავენ გენერაციის ობიექტს და გაეცნობიან მისი მუშაობის თავისებურებებს.

ბურებებს.

"როცა ესაუბრობთ განვითარებულ სოფელზე, რომელიც წარმატებული ქვეყნის სანინდარი უნდა გახდეს, პირველ რიგში გვულისხმობთ განათლებულ მომავალ თაობას. სწორედ ამიტომ, ჩვენი სოციალური პროგრამა მოიცავს საგანმანათლებლო პროექტებსაც, რომელიც მიმართულია ახალგაზრდა თაობაზე, ასევე ამ სექტორში დასაქმებულ პედაგოგებზე. ვფიქრობ, საინტერესო ტრენინგ-კურსი მოგუმზადებთ მთისპირელ ახალგაზრდებს და დიდი იმედი მაქვს, ისინი ბევრ სიახლეს შეიტყობენ, როგორც გარემოს დაცვაზე, ასევე განახლებად ენერგიაზე, ეს კი მისცემს მათ ცოდნას იმის შესახებ, თუ როგორ უნდა გაუფრთხილდნენ ბუნებას, რისგან უნდა დაიცვან გარემო და როგორ და რატომ არის საჭირო ელექტროენერგიის მოფრთხილება და რა მნიშვნელობა ენიჭება ეკო მეგობრული გენერაციის ობიექტების მშენებლობას, ქვეყნის განვითარების თვალსაზრისით", – განაცხადა პროექტის გარემოს დაცვისა და სოციალური საკითხების მენეჯერმა, დავით მიქელაძემ.

ბაზვი 1 ჰიდროელექტროსადგურის ტრენინგკურსი უფროსკლასელთათვის სემესტრის ბოლომდე გაგრძელდება. მისი განახლება კი, 2022 წლის სექტემბრიდან არის დაგეგმილი. სექტემბრიდან ლექციები ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ჩხაკაურას საჯარო სკოლაშიც ჩატარდება.



ტრენინგი მთისპირის საშუალო სკოლაში

მთისპირის თემსა და სოფელ ჩხაკაურაში მცხოვრები ზოგადსაშუალო სკოლების პაპები

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მთისპირის თემში (მთისპირი, ვანისქედი, ოქროსქედი, უკანავა) და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ჩხაკაურაში მცხოვრები შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე 33 პირი, 2022 წლის 15 აპრილიდან დახმარების პაკეტს იღებს.

პაკეტი მოიცავს ფულად დახმარებას – კერძოდ, მკვეთრად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე პირები 150-ლარიან, მნიშვნელოვნად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე პირები კი, 100-ლა-

რიან დახმარებას მიიღებენ ყოველთვიურად.

პროგრამა გრძელვადიანია და ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობის პერიოდში გაგრძელდება. პროგრამის მიზანია, შშმ პირების ოჯახებისთვის ყოფის შესუზუქება და იმ სიკეთის სამა-

რთიანად გადანაწილება, რაც ინფრასტრუქტურული პროექტების განვითარებას მოაქვს სოფლებში.

"ჩვენი გზავნილის ერთ-ერთი მთავარი სიტყვა არის ზრუნვა. ჩვენ ვზრუნავთ როგორც ადამიანებზე, ასევე ბუნებასა და რეგიონის განვითარებაზე. ინფრასტრუქტურის განვითარებას ხელშეწყობს სიკეთეები მოაქვს პროექტის მიმდებარედ არსებულ სოფლებში მცხოვრები მოსახლეო-

ბისთვის. მნიშვნელოვანია, რომ შეიქმნება სამუშაო ადგილები, საგანმანათლებლო პროექტები უკვე მუშაობს და მიმართულია პედაგოგებზე და მოსწავლეებზე, ზრუნვის ობიექტია ბუნება და მისი მოვლა-გაფრთხილება. გვინდოდა, ეს სიკეთეები სამართლიანად ყოფილიყო გადანაწილებული. სწორედ ამიტომ, ჩვეთვალეთ საჭიროდ, შშმ პირებზეც გვეზრუნა და მოგვეფიქრებინა დახმარების ისეთი ფორმა,

რომელიც არავის დატოვებდა უყურადღებოდ. ჩვენ ჩავატარეთ კვლევა, შევავსოვეთ მონაცემები და განვსაზღვრეთ კონკრეტული ბიუჯეტი, რომლის ფარგლებშიც შევძლებთ დავეხმაროთ იმ ადამიანებს, რომლებიც გარკვეული მიზეზების გამო უშუალოდ ვერ ჩაერთვებიან პროექტის განხორციელებაში", – აცხადებს დავით მიქელაძე, ბაზვი ჰესის გარემოს დაცვისა და სოციალური საკითხების მენეჯერი.

თქვენი მოსაზრებები და შეკითხვები, ჩვენთვის მნიშვნელოვანია!

კომპანია სი-სი-ი-იერ ჰაიდრო VI-ის გუნდი მუდმივად ღიაა თქვენთვის.

ეს საინფორმაციო გამოცემა სწორედ მოსახლეობასთან კომუნიკაციის ერთ-ერთი საშუალებაა, რომელსაც ყოველთვიურად საინფორმაციო ბიულეტენის სახე აქვს.

ჩვენი მიზანია, პროექტის განვითარების სხვადასხვა ეტაპზე, დროული და საინფორმაციო ინფორმაცია მოგაწოდოთ და ასევე, გავივით თქვენი მოსაზრებები და რეკომენდაციები.

გთხოვთ, გაგვიზიაროთ კითხვები და მოსაზრებები კომპანიის ელექტრონული ფოსტის მისამართზე: info@cceh.ge

ენებზე ჩვენს ვებ-გვერდს www.cceh.ge და მიიღეთ დეტალური, მუდმივად განახლებადი ინფორმაცია ბაზვი 1 ჰესის შესახებ.

შპს "სი-სი-ი-იერ ჰაიდრო VI"-ის მენეჯმენტი

ბახვი 1 ჰესი

„სი-სი-ი-იერ ჰაიდრო VI“

ჩვენ ვზრუნავთ ადამიანებზე, გარემოზე
და რეგიონის განვითარებაზე
www.cceh.ge

პროექტის შესახებ

ბახვი 1
ჰიდროელექტროსადგურის
პროექტი
მდინარე
ბახვისწყალზე

ბახვი 1 ჰესი არის მდინარე ბახვისწყალზე, დაგეგმილი, მცირე ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობის პროექტი. მისი დადგენილი სიმძლავრე არის 10.9 მეგავატი, წლიური გამომუშავება კი შეადგენს 43.1 მილიონ კილოვატსაათს.

გამომუშავებული ელექტროენერგიის გადაცემა განხორციელდება ელექტროქსელზე 110 კვ. ელექტროგადამცემი ხაზის მეშვეობით.

განსახორციელებელი პროექტი მოქცეულია ჩოხატაურის და ოზურგეთის მუნიციპალიტეტების ტერიტორიებზე.

კურორტ ბახმაროსა და ჰესის სათავე ნაგებობას შორის სიმაღლეთა სხვაობა 140-მეტრიდან 200 მეტრამდეა.

ბახვი 1 ჰესის განმავითარებელი კომპანიაა სი სი ი ეიჩ ჰაიდრო VI. ამ კომპანიის დამფუძნებელია საერთაშორისო კომპანია CCEH, რომელიც საქართველოში 2015 წლიდან ოპერირებს.

CCEH-ს პორტფელში აქვს როგორც დასრულებული, ასევე, მიმდინარე ჰიდროენერგეტიკული პროექტები.

ბახვი 1 ჰიდროელექტროსადგურის პროექტის გარემოზე ზემოქმედების შეფასების საჯარო განხილვა 2022 წლის 10 და 11 თებერვალს შედგა ჩოხატაურში და ჩოხატაურის მუნიციპალურ ცენტრში, სოფელ ჩხაკაურაში, ასევე ოზურგეთსა და ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ მთისპირში.

საჯარო განხილვა საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ორგანიზებით გაიმართა.

ბახვი 1 ჰიდროელექტროსადგურის მრჩეველთა საბჭოს შეხვედრას აშშ-ს ელჩი, მისი აღმათმადგენელი კელი დეგანანი დაესწრო

2022 წლის 5 მაისს ამერიკის შეერთებული შტატების ელჩი, მისი აღმათმადგენელი კელი დეგანანი, საქართველო-აშშ-ს დიპლომატიური ურთიერთობების 30 წლის იუბილის აღსანიშნავად დაგეგმილი ღონისძიებების ფარგლებში გურიის რეგიონს სტუმრობდა. ვიზიტის ფარგლებში, ის ბახვი 1 ჰიდროელექტროსადგურის პროექტის გარემოსდაცვითი და სოციალური საკითხების მიმართულებით შექმნილ მრჩეველთა საბჭოს შეხვედრას დაესწრო.

აშშ-ს ელჩი გაეცნო მიმდინარე საკითხებს, მოისმინა პროექტის მენეჯმენტის და ასევე, მრჩეველთა საბჭოს წევრების მოსაზრებები პროექტის შესახებ და დადებითად შეაფასა ის გამოცდილება, რაც მრჩეველთა საბჭოს შექმნით დანერგა კომპანიამ რეგიონში. საბჭოს წევრებმა, რომლებიც წარმოადგენენ გურიის სამოქალაქო საზოგადოების სხვადასხვა ფრთას, გაუზიარეს ელჩს საკუთარი მოსაზრებები და შეხედულებები პროექტის შესახებ, ასევე აღნიშნეს, თუ რაოდენ მნიშვნელოვანია საზოგადოების წევრების ჩართულობა და მხარდაჭერა ისეთი პროექტებისა, რომელთაც პერსპექტივაში მნიშვნელოვანი და გრძელვადიანი სარგებლის მოტანა შეუძლიათ საქართველოს ენერგეტიკული მომავლისთვის.

ელჩმა, კელი დეგანამ განაცხადა: „აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ პროექტში თავიდანვე დიდი იყო საზოგადოების ჩართულობა. მნიშვნელოვანია, თითოეულ დაინტერესებულ მხარეს ჰქონდეს საშუალება გააუღეროს და განიხილოს საკუთარი ხედვა და მოსაზრება, ამავდროულად, გააცნობიეროს, თუ რამდენად სარგებლის მოტანა შეუძლია ამ პროექტს მათთვის და მთლიანად საქართველოსთვის“.

ბახვი 1 ჰიდროელექტროსადგურის პროექტი ამერიკული ინვესტიციაა გურიის რეგიონში. კომპანია სი-სი-ი-იერ ჰაიდრო VI ბახვი 1 ჰიდროელექტროსადგურის პროექტში 60 მილიონ ლარზე მეტი ღირებულების ინვესტიცია აქვს განსაზღვრული. „როცა ვსაუბრობთ ამერიკულ ინვესტიციაზე, აუცილებელია აღვნიშნოთ ის ფაქტი, რომ ამერიკული ინვესტიცია კომპანიას უქმნის ვალდებულებას, ყველა სამუშაო განხორციელდეს, როგორც ადგილობრივი კანონმდებლობისა და რეგულაციების შესაბამისად, ასევე საერთაშორისოდ აღიარებული გარემოსდაცვითი და სოციალური საკითხების მართვის სტანდარტების სრული დაცვით, როგორცაა მაგალითად IFC. ეს კი ნიშნავს გარემოსდაცვითი და სოციალური პროექტების საერთაშორისოდ აღიარებული მოთხოვნების შესაბამისად“.



სად მართვას. როცა ინვესტორი შედის ამა თუ იმ რეგიონში, მას უშუალოდ სოფლისთვის, სადაც ხორციელდება პროექტი, მოაქვს გამოცდილება, უფრო მეტი ცოდნა და ასევე, დასაქმების შესაძლებლობები, რაც მნიშვნელოვანია ქვეყნის ეკონომიკის განვითარებისთვის. არანაკლებ მნიშვნელოვანია სოციალური პროექტები, რომელსაც ახორციელებენ ეს კომპანიები ადგილობრივ მოსახლეობასთან შეთანხმებით“, – განაცხადა მიხეილ ნიბლაძემ, ბახვი 1 ჰიდროელექტროსადგურის პროექტის დირექტორმა.

შეხვედრის ბოლოს კომპანია სი-სი-ი-იერ ჰაიდრო VI-ის დირექტორმა, მიხეილ ნიბლაძემ ამერიკის შეერთებული შტატების ელჩს სიმბოლური საჩუქარი - გურული ყაბალახი გადასცა საჩუქრად.



გამწვანების აქცია ჩოხატაურში

2022 წლის 4 მაისს, 16 საათზე ჩოხატაურში გამწვანების აქცია ჩატარდა. აქციის ფარგლებში სხვადასხვა ჯიშის დეკორატიული მარადმწვანე და ფოთლოვანი მოზრდილი ნერგი დაირგო სამ უბანზე, კერძოდ, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის შენობის წინ, მის მიმდებარე არსებულ კრიმანჭულის სკვერში და ჩოხატაურის კულტურის სახლთან.

აღნიშნული ღონისძიება ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის და ბახვი 1 ჰიდროელექტროსადგურის ერთობლივი აქციაა, რომელიც ბახვი 1 ჰიდროელექტროსადგურის პროექტის გარემოსდაცვითი კომპონენტის ფარგლებში დაიგეგმა და განხორციელდა. ჩოხატაურის გამწვანების აქციაში მონაწილეობას იღებდა ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერი, დავით შარაშიძე, მის თანამშრომლებთან ერთად და ბახვი 1 ჰიდროელექტროსადგურის მენეჯმენტი.

დავით მიქელაძე, ბახვი 1 ჰიდროელექტროსადგურის გარემოს დაცვისა და სოციალური პროექტების მენეჯერი:

„მოხარული ვარ, რომ დღეს მოგვეცა საშუალება ჩოხატაურში განვეცხოვრებინა პირველი პროექტი გარემოსდაცვითი კომპონენტის ფარგლებში.“

მოგესტუმრებათ, ჩვენი სოციალური პროგრამა საგანმანათლებლო პროექტებით უკვე გახსნილია. გარემოს

დაცვის კუთხით, კი სწორედ ამ ღონისძიებით ვხსნით სეზონს.

ჩვენ მიერ გაფრცელებულ გზაწინაში მთავარი სიტყვაა ზრუნვა. ზრუნვა ადამიანებზე, გარემოზე და რეგიონის განვითარებაზე.

მიგვაჩნია, რომ გარემოს დაცვა ერთი უმნიშვნელოვანესი რამ არის, რაც შეიძლება გააკეთოს ადამიანმა. სწორედ ამას ვასწავლით ახალგაზრდებს ჩვენი ტრენინგის ფარგლებშიც, რომელიც ამჟამად მთისპირის საჯარო სკოლაში მიმდინარეობს და სადაც უკვე სექტემბრიდან ჩხაკაურას სკოლაში ჩაერთვება.

გარემოს დაცვა და განახლებადი ენერგიების მნიშვნელობა ფასდაუდებელია რაც ჩვენ შეიძლება გავუკეთოთ როგორც ჩვენს თავს ასევე, მომავალ თაობას“.

გამწვანების აქცია დედამიწის საერთაშორისო დღის ფარგლებში ჩატარდა, რომელიც თავის მხრივ ყოველწლიურად 22 აპრილს აღინიშნება მთელს მსოფლიოში.



მთისპირის საჯარო სკოლის მოსწავლეები ტრენინგ კურსის შესახებ

2022 წლის 13 აპრილიდან ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ მთისპირის საჯარო სკოლის უფროსკლასელები (9,10,11,12 კლასები), ბახვი 1 ჰიდროელექტროსადგურის მიერ ორგანიზებულ ტრენინგ კურსს ესწრებიან.



დღევანდელ დღემდე 5 მეხვედრა ჩატარდა. მოსწავლეებს დამოუკიდებელი ექსპერტები ასწავლიან გარემოს დაცვის საფუძვლებს და განახლებადი ენერგიების მნიშვნელობას. პროგრამის ფარგლებში კომუნიკაციების შესახებ შეხვედრაც ჩატარდა, რომლის ფარგლებშიც ახალგაზრდებმა მოისმინეს ლექცია მედიაზე, მის მნიშვნელობაზე, როლსა და ფუნქციაზე საზოგადოებაში. ასევე, გაიგეს თუ როგორ განასხვავონ ნამდვილი და „ფეიკ“ ანუ გამოგონილი, გაყალბებული ამბავი ერთმანეთისგან. პროგრამის ფარგლებში ტარდება სხვადასხვა აქტივობა, თამაშები და ვიქტორინები.

სასწავლო კურსი არაფორმალური განათლების ნაწილია და მოიცავს 6 ტრენინგს. ასევე, დაგეგმილია ექსკურსია მოქმედ ჰიდროელექტროსადგურზე, სადაც მოსწავლეები ნახავენ გენერაციის ობიექტს და გაეცნობიან მისი მუშაობის თავისებურებებს.

ბახვი 1 ჰიდროელექტროსადგურის ტრენინგ კურსი უფროსკლასელთათვის სემესტრის ბოლომდე გაგრძელდება. მისი განახლება კი, 2022 წლის სექტემბრიდან არის დაგეგმილი. სექტემბრიდან ლექციები ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ჩხაკაურას საჯარო სკოლაშიც ჩატარდება.

ირაკლი ცეცხლაძე, მთისპირის საჯარო სკოლის მოსწავლე (მე-11 კლასი):

„ელექტროენერგია ყოველწლიურად უფრო და უფრო მეტია საჭირო, რადგან მუდმივად იზრდება მისი მოხმარება. უფრო ხშირი

და აუცილებელი ხდება იმ ხელსაწყოებისა თუ ტექნიკის გამოყენება, რომლებიც აქტიურად მოიხმარენ ელექტროენერგიას, აქედან გამომდინარე, დიდი მნიშვნელობა აქვს ე.წ. განახლებადი ენერგიის ათვისებას.

ძალიან დიდი ენერგიის მიღება შეიძლება ქარისგან, მზისგან, ბუნებრივად მოდინებული წყლისგან... ეს ისეთი ბუნებრივი მოვლენებია, რომლებიც თავისთავად არსებობენ სამყაროში და თუ მათ ჩვენ სასარგებლოდ გამოვიყენებთ და ენერგიად გარდავქმნით, შევამცირებთ ეკოსისტემის ხელოვნურად დაზიანებას, მცენარეები და ცხოველები მაქსიმალურად იქნებიან დაცულნი და არ დავაზიანებთ მათ ბუნებრივ საცხოვრებელ გარემოს. ეს კი ისევე ჩვენს პლანეტას დაუბრუნდება დადებითად.

ტრენინგზე მიღებული ინფორმაციების შემდეგ დავფიქრდით ამ ყველაფერზე, მაღლობა ყველა იმ ადამიანს, ვინც იზრუნა ჩვენზე, რომ ამ კუთხით მიგველოცოდნა. გავგიმართლა მე და ჩემს თანატოლებს“.

ნინო მახარაძე, მთისპირის საჯარო სკოლის მოსწავლე (მე-11 კლასი): „ამ ტრენინგებმა და შეიძლება ითქვას პირველივე მეხვედრამ გადაწყვიტა ჩემი მეორე პროფესიად გარემოს დაცვა და ეკოლოგია ამერჩია. მეხვედრებზე იმდენად ლიად, თავისუფლად ვსაუბრობთ, ვკამათობთ, ვსჯელობთ, ვიმუშავებთ უნარჩევებს გუნდური მუშაობის, ჩართული ვართ სხვადასხვა ჩვენთვის საჭირო აქტივობაში, ვმუშაობთ და ვამზადებთ პრეზენტაციის თემებს, რაც აუცილებლად გამოგვა-

დგება მომავალში.

ტრენინგების დროს ძალიან აუცილებელ და საჭირო ინფორმაციას ვიღებთ. ყველა განხილული თემა იყო საინტერესო და ამავე დროს ჩვენთვის, მოზარდებისთვის მისაღებ ფორმატში მოწოდებული. ტრენერები არიან განსაკუთრებული.

არ მეგულება ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სკოლებში ჩვენი თანატოლი ბავშვები, ვინც ახლა ჩვენზე მეტ ინფორმაციას ფლობდეს განახლებად ენერგიებზე, გარემოს დაცვის მნიშვნელობაზე, ელექტრო ენერგიის დაზოგვის მნიშვნელობაზე, ჰიდროელექტროსადგურების თავისებურებებზე.

ჩვენ მივიღეთ ბევრი ცოდნა რასაც გამოვიყენებთ მომავალში.

მადლობა ყველას!“

ნათია შავაძე, მთისპირის საჯარო სკოლა (მე-9 კლასი):

„ადამიანი და ბუნება ერთმანეთთან მჭიდრო კავშირში იმყოფება. ბუნება ის სივრცეა, სადაც ვიზრდებით და ვვითარდებით. ის ჩვენი სახლია, ჩვენი სამშობლო. ჩვენ ადამიანები ვალდებული ვართ, ვიზრუნოთ ბუნებაზე, რადგან ჩვენი ჯანმრთელობა, ზუსტად სუფთა და ჯანსაღი ჰაერით იწყება. უნდა ვეცადოთ, არ დავანაგვიანოთ ბუნება ან კიდევ, უკვე დანაგვიანებულ დავას უფთავოთ.

აუცილებელია, ელექტროენერგიის დაზოგვა. მართალია ჰესი ამოუწურავი რესურსის მქონეობით მუშაობს, მაგრამ აუცილებელია ჰესის მუშაობის დროს დაცული იყოს მის მიმდებარედ არსებული გარემო. წყალი უდიდეს როლს თამაშობს ადამიანის ყოფა-ცხოვრებაში. წყალი და ადამიანი და თუნდაც გარემო ერთიანი ძალა ერთი შეგვთვლება. მე ვფიქრობ, ხელი უნდა შევუწყოთ ჰესების მშენებლობას, რათა ჩვენი მომავალი გავაძლიეროთ და განვავითაროთ.

ადრე ასე არასდროს მიფიქრია, ამ ტრენინგებმა მე პირადად დამაფიქრა და მასწავლა, რომ თურმე გარემო უდიდეს როლს თამაშობს ჩემს ცხოვრებაში.

ყველას მოვუწოდებ და მათ შორის ჩემს თავსაც, რომ დავაფასოთ და ვიზრუნოთ გარემოზე. მე პირადად, თუ დავინახავ ქუჩაში გადაყრილ ნაგავს, აუცილებლად ავკრეფ და სანაგვე ურნაში მოვათავსებ, ამით დავიცავ არამარტო ჩემს ჯანმრთელობას, არამედ ბევრი აქ მაცხოვრებელი ადამიანის.

არ დავყაროთ ნაგავი!!! და დავიცვათ ჩვენი ბუნება!!!“

ინფორმაცია ბახვი 2 ჰიდროელექტროსადგურის სკოპინგის ანგარიშის წარდგენის თაობაზე

კავკასიის განახლებადი ენერგიის ჰოლდინგი, CCEH-ი აცხადებს, რომ ამა წლის 2 ივნისს, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს გარემოს ეროვნულ სააგენტოში განსახილველად წარადგინა ბახვი 2 ჰიდროელექტროსადგურის პროექტის სკოპინგის ანგარიში. ბახვი 2 ჰიდროელექტროსადგურის სქემა, მდინარის მოდინებაზე მომუშავე მცირე და საშუალო ზომის სადგურებისგან შედგება (ბახვი 2ა და ბახვი 2ბ), რომელიც ოზურგეთის მუნიციპალიტეტში მდინარე ბახვისწყლის ხეობაში არის დაგეგმილი. სკოპინგის ანგარიში, სამინისტროში პროექტის გამახორციელებელი კომპანიის, შპს ბახვი 2-ის სახელით შევიდა.

პროექტის ტექნიკური დანახილვა:

ჰიდროელექტროსადგურის ტიპი:

დერივაციული, ბუნებრივ ჩამონადენზე მომუშავე.

დაგეგმილი სიმძლავრე:

ბახვი 2ა სადგური - 11.4 მეგავატი;

ბახვი 2ბ სადგური - 20.7 მეგავატი.

გამომუშავებული ელექტროენერგიის რაოდენობა:

ბახვი 2ა სადგური - 48.6 მილიონ კილოვატ საათი წელიწადში;

ბახვი 2ბ სადგური - 88.8 მილიონ კილოვატსაათი წელიწადში.

შეგუბების დაგეგმილი ფართობი:

ბახვი 2ა სადგური - 0.19 ჰექტარი; ბახვი 2ბ სადგური - 0.09 ჰექტარი.

სადანეო მილსადენის სიგრძე:

ბახვი 2ა - 3283 მ; ბახვი 2ბ - 3750 მ.

პროექტის ინფრასტრუქტურა:

სათავე ნაგებობა, თევზსავალი, მილსადენი და ჰესის შენობა.



„მიგვაჩნია, რომ მდინარის კალაპოტში არსებული ჰიდროელექტროსადგურები ერთიანი პოლიტიკით უნდა იმართოს. სწორედ ეს იყო, ჩვენ მიერ მოწვეული ფრანგი ექსპერტის, პიერ ბიდერმანის ერთ-ერთი რეკომენდაცია, რომელიც მან ბახვი 1 ჰესის პროექტისთვის შესრულებული კუმულაციური კვლევის შედეგად გავგიზიარა. მან გვიჩვენა, რომ გარემოზე ზემოქმედების მაქსიმალურად შემცირების მიზნით, აუცილებელი იყო მდინარე ბახვისწყლის პერიმეტრზე არსებულ სხვა პროექტებთან კოორდინაციაში ყოფნა. სწორედ ამ რჩევამ განაპირობა ბახვი 2 ჰიდროელექტროსადგურის პროექტით დაინტერესების გადაწყვეტილება. პროექტი დაფუძნებულია ეკონომიკური თვალსაზრისით და უკვე შეიტანეთ სკოპინგზე. ჩვენი ყველა განზრახვა თუ ქმედება ხორციელდება გარემოზე ზემოქმედების მაქსიმალურად შერბილების

მიზნით. მდინარე ბახვისწყალზე არსებული ჰიდროელექტროსადგურების პროექტებზე ერთი პასუხისმგებელი კომპანიის არსებობა, გაზრდის გადაწყვეტილებების მიღების ეფექტიანობას და მარტივი იქნება კონტროლის მხრივაც“, _ განაცხადა მიხეილ ნიბლაძემ, კავკასიის განახლებადი ენერგიის ჰოლდინგის დირექტორმა.

კავკასიის განახლებადი ენერგიის ჰოლდინგი CCEH, მდინარე ბახვისწყლის ხეობაში ოპერირებადი ბახვი 3 ჰიდროელექტროსადგურის თანამფლობელია 2017 წლიდან, 2020 წლიდან, ინვესტორი კომპანია ამუშავებს ბახვი 1 ჰიდროელექტროსადგურის პროექტს, 2021 წელს, კი ძველი მფლობელებისგან გამოისყიდა ბახვი 2 ჰიდროელექტროსადგურის პროექტი, რომელიც განმახორციელებელ კომპანიასთან ერთად დახვეწა, გააუმჯობესა და სკოპინგის პროცედურა დაიწყო.

თქვენი მოსაზრებები და შეკითხვები, ჩვენთვის მნიშვნელოვანია!

პომპანია სი-სი-ი-იერ ჰაიდრო VI-ის გუნდი მუდმივად ღიაა თქვენთვის რეაქციისთვის ყველა დაინტერესებულ მხარესთან.

ეს საინფორმაციო გამოცემა სწორედ მოსახლეობასთან კომუნიკაციის ერთ-ერთი საშუალებაა, რომელსაც ყოველთვიური საინფორმაციო ბიულეტენის სახე აქვს.

ჩვენი მიზანია, პროექტის განვითარების სხვადასხვა ეტაპზე, დროული და საინტერესო ინფორმაცია მოგაწოდოთ და ასევე, გავიგოთ თქვენი მოსაზრებები და რეაქციები.

გთხოვთ, გაგვიზიაროთ კითხვები და მოსაზრებები პომპანიის ელექტრონული ფოსტის მისამართზე: info@cceh.ge

ენებზე ჩვენს ვებ-გვერდს www.cceh.ge და მიიღეთ დეტალური, მუდმივად განახლებადი ინფორმაცია ბახვი 1 ჰესის შესახებ.

შპს "სი-სი-ი-იერ ჰაიდრო VI"-ის მენეჯმენტი

ბახვი 1 ჰესი

„სი-სი-ი-იიჩ ჰაიდრო VI“

ჩვენ ვზრუნავთ ადამიანებზე, გარემოზე
და რეგიონის განვითარებაზე
www.cceh.ge

პროექტის შესახებ

ბახვი 1 და ბახვი 2
ჰიდროელექტროსადგურის
პროექტები

ბახვი 1 ჰიდროელექტროსადგური მდინარე ბახვისწყალზე, დაგეგმილი, მცირე ჰიდროელექტროსადგურის პროექტია.

დადგმული სიმძლავრე - 10.9 მეგავატი; წლიური გამომუშავება - 43.1 მილიონი კილოვატსაათი.

განსახორციელებელი პროექტი მოქცეულია ჩოხატაურის და ოზურგეთის მუნიციპალიტეტების ტერიტორიებზე.

ბახვი 2 ჰიდროელექტროსადგურის სქემა, მდინარის მოდინებაზე მომუშავე მცირე და საშუალო ზომის სადგურებისგან (ბახვი 2ა და ბახვი 2ბ) შედგება.

ბახვი 2ა სადგური დადგმული სიმძლავრე - 11.4 მეგავატი; წლიური გამომუშავება - 48.6 მილიონ კილოვატსაათი.

ბახვი 2ბ სადგური დადგმული სიმძლავრე - 20.7 მეგავატი; წლიური გამომუშავება - 88.8 მილიონ კილოვატსაათი.

განსახორციელებელი პროექტი მდინარე ბახვისწყალზე, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ უკანავასთან ახლოს არის დაგეგმილი.

გარემოს ეროვნულმა სააგენტომ ბახვი 1 ჰიდროელექტროსადგურის პროექტის გეგმავლობასა და ექსპლუატაციაზე, გარემოსდაცვითი გადამწყვეტილება გამოცდა. პრძანება, 2022 წლის 28 ივნისს აიტვირთა სააგენტოს ვებ პორტალზე.

2022 წლის 27 ივნისს, გარემოს დაცვის სააგენტომ მდინარე ბახვისწყალზე, ბუნებრივ ჩამონადენზე მომუშავე დაგეგმილი ბახვი 1 ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობასა და ექსპლუატაციაზე, გარემოსდაცვითი გადამწყვეტილება გამოცდა. პრძანება, 2022 წლის 28 ივნისს აიტვირთა სააგენტოს ვებ პორტალზე.

„დღეს მივიღეთ გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება, რომელიც გვანიჭებს უფლებას და შესაძლებლობას, თვისობრივად ახალ ეტაპზე გადავიდეთ. უნდა აღვნიშნო, რომ ჩვენ, რეალურად დიდი შრომა გაენიეთ, აქამდე მოსასვლელად. დიდი მადლობა მინდა გადავუხადო ყველა იმ ადამიანს, რომელიც პირდაპირ თუ ირიბად ჩართული იყო პროექტში. მუშაობის სტილი, კომუნიკაციების ფორმები, გამჭვირვალობა, ყველა დაინტერესებულ ჯგუფთან დიალოგის რეჟიმში ყოფნა, ჩვენს მიერ არჩეული ხაზია, რომელიც ბუნებრივია გავრძელებს. დარწმუნებული ვარ, მშენებლობის ფაზასაც დიდი წარმატებით

გავართმევთ თავს და დაგეგმილ ვადებში ავამუშავებთ ჰიდროელექტროსადგურს, რომელიც ევროპული სტანდარტებით აგებული ერთ-ერთი საუკეთესო სადგური იქნება მთელი საქართველოს მასშტაბით. ჩვენი გარემოსდაცვითი და სოციალური პროგრამა თავიდან ბოლომდე აგებულია საერთაშორისო ექსპერტებისგან მიღებულ რეკომენდაციებზე, ასევე, პასუხობს ადგილობრივად არსებულ საჭიროებებს, რომელიც მოსახლეობის გამოკითხვების შედეგად მიღებული ინფორმაციის გადამუშავებისას გამოვლინდა“, - განაცხადა მიხეილ ნიბლაძემ, სი-სი-ი-იჩ ჰაიდრო VI-ის დირექტორმა.

ბახვი 2 ჰიდროელექტროსადგურის გეგმავლობისა და ექსპლუატაციის პირთაგანის ცვლილების სტრატეგიის ანგარიშის საჯარო განხილვა მთისპირში ჩატარდა

მდინარე ბახვისწყალზე, ბუნებრივ ჩამონადენზე მომუშავე დაგეგმილი ბახვი 2 ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობისა და ექსპლუატაციის პირთაგანის ცვლილების სტრატეგიის ანგარიშის საჯარო განხილვა, 2022 წლის 22 ივნისს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელი მთისპირის ადმინისტრაციული ერთეულის შენობაში ჩატარდა.



საჯარო განხილვას ესწრებოდნენ მთისპირის თემში მერის რწმუნებული ვლადიმერ ჩაველიშვილი, არასამთავრობო ორგანიზაციების, მედიის და ბიზნესის წარმომადგენლები, ასევე მთისპირის თემის სოფლებში (მთისპირი, ოქროსქედი, ვანისქედი, უკანავა) 80 მდე მცხოვრები. საჯარო განხილვას ასევე, ესწრებოდნენ საგანმანათლებლო სექტორის წარმომადგენლებიც. პროექტი საჯარო განხილვის ორგანიზატორმა სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტომ წარადგინა. კომპანიის მხრიდან, სიტყვით შპს „ბახვი 2“-ის დირექტორი, მიხე-

ილ ნიბლაძე გამოვიდა.

პროექტის ტექნიკური, გარემოსდაცვითი და სოციალური საკითხების შესახებ დეტალური პრეზენტაციები ბახვი 2-ის გუნდის წევრებმა გააკეთეს.

დამსწრე საზოგადოების მხრიდან აღინიშნა, რომ კომპანიამ დიდი შრომა გასწია მიმდებარე სოფლების მოსახლეობასთან მუშაობისა და ინფორმაციის მიწოდების კუთხით.

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ თანახმად, სკოპინგის წარმატებულად გავლის შემდეგ, ხდება გზშ-ს ეტაპზე გადასვლა.

კურორტ ბახმართში ლედ განათების სისტემა დამონტაჟდება

აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) ენერგეტიკული მომავლის უზრუნველყოფის პროგრამას და კავკასიის განახლებადი ენერგიის პოლდინგს შორის 2021 წლის 25 ოქტომბერს გაფორმებული მემორანდუმის ფარგლებში, კურორტ ბახმაროს ცენტრალურ ქუჩაზე 4.5 კილომეტრის სიგრძის მონაკვეთზე ენერგო ეფექტური ლედ განათების სისტემა დამონტაჟდება.

არსებული მოძველებული ბოძების დემონტაჟისა და ენერგო ეფექტური ლედ ნათურებით აღჭურვილი ახალი, თანამედროვე ბოძების მონტაჟის სამუშაოები უახლოეს დღეებში დაიწყება და 2022 წლის სექტემბრის ბოლომდე დასრულდება.



„მოხარულნი ვართ, რომ მოვახერხეთ და მაქსიმალურად მცირე დროში USAID-ის ენერგეტიკული მომავლის უზრუნველყოფის პროგრამასთან ერთად შევძელით იდეის პროექტად ჩამოყალიბება. უნდა აღვნიშნო, რომ ბევრი ვიმუშავეთ ამ მიმართულებით. გვსურდა, განგვეხორციელებინა პროექტი, რომელიც იქნებოდა ინოვაციური და აუცილებლად მდგრადი, რეგიონისთვის სასარგებლო და ასევე, უზაზუბდა გლობალურ გამოწვევებს. ენერგო ეფექტური ლედ ტექნოლოგია არის გრძელვადიანი, ის ეკოლოგიური განათების სისტემაა, ძალიან დაბალი, დამზოგველი მოხმარებით. თანამედროვე და ეკოლოგიური ტექნოლოგიები ინოვაციურია რეგიონისთვის და გვახარებს ის ფაქტი, რომ USAID-ისთან ერთად სწორედ ასეთ პროექტს ვახორციელებთ ყველასთვის საყვარელ კურორტ ბახმაროში“, - განაცხადა მიხეილ ნიბლაძემ, კავკასიის განახლებადი ენერგიის პოლდინგის დირექტორმა.

„USAID-ის ენერგეტიკული მომავლის უზრუნველყოფის პროგრამა საქართველოში მჭიდროდ თანამშრომლობს კერძო სექტორთან, ქვეყანაში სუფთა და განახლებადი ენერგიის წყაროების რაციონალური ათვისების, ინვესტიციების წახალისების, მდგრადი ენერგიის მოხმარების, თანამედროვე და ინოვაციური ტექნოლოგიების ფართოდ დანერგვის მიზნით. ჩვენ მივესალმებით კავკასიის განახლებადი ენერგიის პოლდინგის მიდგომას განახლებადი ენერგიის დარგში ინვესტიციების პარალელურად განახორციელოს სხვადასხვა სოციალური და ინოვაციური პროექტი. მოხარულნი ვართ, რომ ჩვენი ერთობლივი მუშაობის შედეგად კურორტ ბახმაროს ცენტრალური ქუჩის ენერგო ეფექტური განათების სისტემის მოწყობის პროექტი განხორციელდება ფაზაზე გადავიდა და რამდენიმე თვეში შევძლებთ ამ საპილოტე პროექტის წარმატებით დასრულებას“, - განაცხადა ივანე პირველმა, USAID-ის ენერგეტიკული მომავლის უზრუნველყოფის პროგრამის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებელმა.

პროექტი CCEH-ისა და ენერგეტიკული მომავლის უზრუნველყოფის პროგრამის ერთობლივი ძალისხმევით ხორციელდება და ბახვი 1 ჰიდროელექტროსადგურის სოციალური პროგრამის ნაწილს წარმოადგენს.



მთისპირის საჯარო სკოლის უფროსკლასელთა ტრენინგი - „გარემოს დაცვა და განახლებადი ენერგიები“ დასრულდა

2022 წლის 23 ივნისს, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ მთისპირის საჯარო სკოლის უფროსკლასელთათვის (9,10,11,12 კლასები), ბაზვი 1 ჰიდროელექტროსადგურის მიერ გამოცხადებული სოციალური პროგრამის საგანმანათლებლო პროექტების ფარგლებში, არაფორმალური სახის სასწავლო ტრენინგ კურსი, სპეციალურად დახურვის ღონისძიებისთვის მოწვეული სტუმრის, მწერალ დათო ტურაშვილის მოსწავლეებთან შეხვედრით დასრულდა.

დათო ტურაშვილის საინტერესო ლექციის შემდეგ, ტრენინგ კურსის მონაწილეებს საჩუქრად მისი წიგნები დაურიგდათ, ავტორის ხელმოწერით. შეხვედრის დასასრულს კი სერტიფიკატების გადაცემის საზეიმო ცერემონიალი გაიმართა.

სასწავლო კურსი არაფორმალური განათლების ნაწილია და მოიცავდა 6 ტრენინგს გარემოს დაცვის, განახლებადი ენერგიების, პროფესიული ორიენტაციის და კომუნიკაციების მიმართულებით. კურსი 23-მა უფროსკლასელმა წარმატებით გაიარა.

კომპანიის მოწვევით, მთისპირის საჯარო სკოლას საქართველოს განახლებადი ენერგიის განვითარების ასოციაციის (GREDA) და „საქართველოს ენერგეტიკული ბირჟის“ ახალგაზრდა სპეციალისტებიც სტუმრობდნენ. GREDA-ს წარმომადგენლებმა საქართველოში განახლებადი ენერგიის განვითარება-გამოყენებასთან დაკავშირებით მომზადებული მასალები გააცნეს ახალგაზრდებს.

სასწავლო წლის ბოლოს, კურსის ფარგლებში მთისპირის საჯარო სკოლის 23 უფროსკლასელისთვის ექსკურსიაც ჩატარდა, რომლის ფარგლებშიც მოსწავლეებმა მოინახულეს მდინარე კინტრიშზე არსებული მცირე ჰიდროელექტროსადგური, კინტრიშა ჰესი. ჰიდროელექტროსადგურის მონახულების შემდეგ, მთისპირელმა ახალგაზრდებმა მოინახულეს ისტორიული ციხე-ქალაქი ეგრისის სამეფოში, პეტრა, რომელიც ციხისძირის ტერიტორიაზეა განთავსებული. სპეციალურად ამ ასაკის ბავშვებისთვის შექმნილ გასართობ პროგრამას უძღვევოდა მოწვეული ტრენერი ქეთევან ლოზუანიძე, ფსიქოლოგი, „ინსაით“ ჯგუფის დამფუძნებელი და HR მენეჯერი.

ის განვითარება-გამოყენებასთან დაკავშირებით მომზადებული მასალები გააცნეს ახალგაზრდებს.



თქვენი მოსაზრებები და შეკითხვები, ჩვენთვის მნიშვნელოვანია!

კომპანია სი-სი-ი-იერ ჰაიდრო VI-ის გუნდი მუდმივად დიალოგის რეჟიმშია ყველა დაინტერესებულ მხარესთან.

ეს საინფორმაციო გამოცემა სწორედ მოსახლეობასთან კომუნიკაციის ერთ-ერთი საშუალებაა,

რომელსაც ყოველთვიური საინფორმაციო ბიულეტენის სახე აქვს.

ჩვენი მიზანია, პროექტის განვითარების სხვადასხვა ეტაპზე, დროული და საინტერესო ინფორმაცია მოგაწოდოთ და ასევე, გავივით თქვენი მოსაზრებები და რეკომენდაციები.

გთხოვთ, გავზიაროთ კითხვები და მოსაზრებები კომპანიის ელექტრონული ფოსტის მისამართზე: info@cceh.ge

ენვით ჩვენს ვებ-გვერდს www.cceh.ge და მიიღეთ დეტალური, მუდმივად განახლებადი ინფორმაცია ბაზვი 1 ჰესის შესახებ.

შპს "სი-სი-ი-იერ ჰაიდრო VI"-ის მენეჯმენტი

ბახვი 1 ჰესი

„სი-სი-ი-იი-ჰაიდრო VI“

ჩვენ ვზრუნავთ ადამიანებზე, გარემოზე
და რეგიონის განვითარებაზე
www.cceh.ge

ბახვი 1 და ბახვი 2
ჰიდროელექტრო-
სადგურის
პროექტები

ბახვი 1 ჰიდროელექტროსადგური მდინარე ბახვისწყალზე, დაგეგმილი, მცირე ჰიდროელექტროსადგურის პროექტია.

დადგმული სიმძლავრე - 10.9 მეგავატი;

წლიური გამომუშავება - 43.1 მილიონი კილოვატსაათი.

განსახორციელებელი პროექტი მოქცეულია ჩოხატაურის და ოზურგეთის მუნიციპალიტეტების ტერიტორიებზე.

ბახვი 2 ჰიდროელექტროსადგურის სქემა, მდინარის მოდინებაზე მომუშავე მცირე და საშუალო ზომის სადგურებისგან (ბახვი 2ა და ბახვი 2ბ) შედგება:

ბახვი 2ა სადგური დადგმული სიმძლავრე - 11.4 მეგავატი;

წლიური გამომუშავება - 48.6 მილიონ კილოვატსაათი.

ბახვი 2ბ სადგური დადგმული სიმძლავრე - 20.7 მეგავატი; წლიური გამომუშავება - 88.8 მილიონ კილოვატსაათი.

განსახორციელებელი პროექტი მდინარე ბახვისწყალზე, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ უკანავასთან ახლოს არის დაგეგმილი.

ბახვი ჰესის განვითარების გეგმები

ინტერვიუ შპს CCEH Hydro VI-ის დირექტორთან, ბატონ მიხეილ ნიზლაძესთან

- ბატონო მიხეილ, პირველ რიგში, გილოცავთ გარემოსდაცვითი ნებართვის მოპოვებას.

- დიდი მადლობა. მინდა ვისარგებლო შემთხვევით და გადავუხადო მადლობა ამ პროცესის ყველა მონაწილე პირს - ჩვენს თანამშრომლებს, მთისპირის და ჩხაკაურას მოსახლეობას, არასამთავრობო სექტორს, ადგილობრივი და ცენტრალური სამთავრობო უწყებების წარმომადგენლებს, მედიას. უპრეცედენტო ერთობა და ჩართულობა ჰქონდა ბახვი 1-ის პროექტს. მოხარული ვარ, რომ დიდი მხარდაჭერა გვაქვს ადგილობრივი მოსახლეობის.

- რა ვითარებაა ამჟამად კომპანიაში და რა ტიპის სამუშაოებს ახორციელებთ?

- ამჟამად, როგორც უკვე აღნიშნეთ, პროექტს აქვს გარემოსდაცვითი ნებართვა, რომელზეც ჩვენი გუნდი წელიწადზე მეტი ხნის განმავლობაში ადგილობრივ და საერთაშორისო ექსპერტებთან ერთად თავდაუზოგავად მუშაობდა. ძალიან დიდი შრომა გაწეი. მთელი პროცესის მანძილზე აბსოლუტურად გამჭვირვალედ ვმუშაობდით და ჩართული გვყავდა ყველა დაინტერესებული მხარე. მთელი წლის მანძილზე თვეში ერთხელ ვხვდებოდით მრჩეველთა საბჭოს წევრებს, რა დროსაც ანგარიშს ვაბარებდით მიმდინარე განვითარების შესახებ მათ, ვისმენდით განსხვავებულ მოსაზრებებს და რიგ შემთხვევებში ვითვალისწინებდით რეკომენდაციებს. გავმართეთ არაერთი შეხვედრა ადგილობრივი არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლებთან. აღსანიშნავია, რომ მათი რეკომენდაციით შეიცვალა პროექტი, მოვიწვიეთ ევროპელი მკვლევარები და დაიდო გარემოსდაცვითი რეკომენდაციები და სოციალური პროგრამა, რომელიც აბსოლუტურად მორგებულია ადგილობრივ საჭიროებებზე. სოციალურ პროგრამაზე მუშაობისას ათობით შეხვედრა გავმართეთ პროექტის სიახლოვეს მდებარე სოფლების მცხოვრებლებთან - მთისპირის თემსა და ჩხაკაურაში. სწორედ ამ აქტივობებმა და ორმხრივმა დიალოგმა განაპირობა პროექტის წარმატება. ამჟამად, პროექტი მშენებლობის ნებართვის მიღების ეტაპზე გადავიდა. მუშაობა დაიწყო ნებართვის მიღებაზე ჩვენს ტექნიკურ ჯგუფთან ერთად. აღსანიშნავია, რომ ტექნიკურ მიმართუ-



ლებაზე ჩვენი გუნდი მსოფლიოში აღიარებულ შვედური კომპანიის AFRY-ს ავსტრიულ ოფისთან თანამშრომლობს, რაც შესაბამისად ყველაზე მაღალი დასავლური სტანდარტების გარანტიას ნიშნავს ტექნიკური კუთხით. ასევე, ვამუშავეთ სამოქმედო გეგმას, იმ რეკომენდაციებზე დაყრდნობით, რაც მივიღეთ საერთაშორისო თუ ადგილობრივი ექსპერტებისგან, რათა ჯეროვნად აღსრულდეს ბიომრავალფეროვნების მიმართულებით შემარბილებელი ღონისძიებები, იმისათვის რომ პროექტი როგორც სამშენებლო ასევე ოპერაციულ ეტაპზე იყოს უსაფრთხო როგორც გარემოზე ზემოქმედების, ასევე შრომის უსაფრთხოების თვალსაზრისით.

- რა კონკრეტული გამოწვევები გაქვთ ამჟამად?

- რთული პერიოდი გავიარეთ, პროექტის დასაწყისში შესაბამისი ნდობის მოსაპოვებლად ყველა დაინტერესებული მხარისაგან, ახლაც არანაკლებ რთული და საპასუხისმგებლო ეტაპზე ვართ. მოგეხსენებათ, პირობების გაცემა ადვილია, მათი აღსრულება კი რთული. დიან, ჩვენ ღირსეულად უნდა აღვასრულოთ ყველა გაცემული პირობა, როგორც სახელმწიფოს წინაშე, ასევე არასამთავრობოების და ადგილობრივი მოსახლეობის წინაშე, რომელიც გვენდო, დაგვიდგა გვერდზე და გამოგვყვა ამ პროექტში. ჩვენ დეტალურად ვამუშავეთ სამოქმედო

გეგმას, რომ შპს „სი-სი-ი-იი-ჰაიდრო VI“-მა საქმიანობა განახორციელოს წარმოდგენილი გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის, ტექნოლოგიური სქემის, გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედების შემარბილებელი ღონისძიებების, უსაფრთხოების ზომებსა და დაგეგმილი სოციალური პროექტებზე დასავლელი და ქართველი ექსპერტების და პარტნიორების რეკომენდაციების შესაბამისად.

- როგორ და რა პრინციპით აპირებთ ტყის ჭრაზე შემარბილებელი ღონისძიებების გატარებას, ასევე მნიშვნელოვანია კალმახი და მისი არსებობა მდინარე ბახვისწყალში. ვიცით ასევე, რომ თქვენმა მკვლევარებმა ასევე დააფიქსირეს კავკასიური სალამანდრა, რომელიც ნათელ ნუსხაშია შესული?

- ყველას მოგეხსენებათ რომ, ინფრასტრუქტურული და ნებისმიერი სხვა ტიპის პროექტების განხორციელებისას გარდაუვალია გარკვეულ პერიმეტრზე ხეების ჭრა. ჩვენ შემთხვევაში, ეს არის 9 ჰექტარი, როგორც ეს გზის დოკუმენტში არის წარმოდგენილი. ჩვენ, ვიღებთ ვალდებულებას, რომ აღვადგენთ 20 ჰექტარს, რაც ორჯერ მეტია პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოქცეული ტყის ფართობისა. სახელმწიფო ტყის ტერიტორიაზე ნებისმიერ ქმედებას ჩვენ ვუთანხმებთ ტყის მართვის უფლების მქონე სახელმწიფო ორგანოს. ჩვენ პასუხისმგებლობას ვიღებთ,

რომ სამუშაოების განხორციელების დროს საფრთხე არ შეექმნება პროექტის განხორციელების არეალში არსებულ ფლორასა და ფაუნას. რაც შეეხება იხტიოფაუნას, მნიშვნელოვანია ჩვენ მიერ დაგეგმილი შემარბილებელი ღონისძიებები ნაკადულის კალმახისთვის. ცხადია, პროექტის დინამიკა გვაქვს გათვალისწინებული თანამედროვე ტიპის თევზსაგალი, ასევე გვაქვს შემუშავებული ეფექტური მონიტორინგის სისტემა იმისთვის, რომ მდინარეში თევზს არ შეექმნას გადაადგილების პრობლემები. პროექტის ფარგლებში ასევე იგეგმება ტბორების მოწყობა კავკასიური სალამანდრასთვის, რომელიც ნათელ ნუსხაშია შესული. ესაა მოკლედ ჩვენი სამუშაოების შესახებ, თუმცა ეს მხოლოდ ნაწილია იმ ვრცელი სიიდან, რისი განხორციელებაც ჩვენი ვალდებულებაა. ვალდებულებაა როგორც საზოგადოების წინაშე, ასევე ჩვენს მაღალი რეზუტაციის მქონე ინვესტორებთან და პირველ რიგში, საკუთარ თავთან. რადგან, თქვენ იცით, ჩვენ ამ ქვეყნის მოქალაქეები ვართ, საქართველო ჩვენი სამშობლოა და პროექტები, რომელსაც ვახორციელებთ, გვინდა და გვაქვს ამბიციის, რომ იყოს სამაგალითო და ეკონომიკური სიკეთის მომტანი ჩვენი ქვეყნისთვის და ამ ქვეყანაში მცხოვრები ადამიანებისთვის, ამავე დროს მინიმალური ზემოქმედების მქონე გარემოზე.

ბაზვი 2 ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობისა და ექსპლუატაციის პირობების ცვლილების სკოპინგის დასკვნა

2022 წლის 19 ივლისს, გარემოს ეროვნულმა სააგენტომ ოზურგეთის მუნიციპალიტეტში, მდინარე ბახვისწყალზე, ბუნებრივ ჩამონადენზე მომუშავე დაგეგმილი ბაზვი 2 ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობისა და ექსპლუატაციის პირობების ცვლილების სკოპინგის დასკვნა გამოაქვეყნა. „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ თანახმად, სკოპინგის წარმატებულად გავლის შემდეგ ხდება გზშ-ს ეტაპზე გადასვლა, რომლის დროსაც კომპანია ვალდებულია გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში მოამზადოს, რისთვისაც საჭიროა მთელი რიგი კვლევების წარმოება და საჯარო განხილვისთვის მზადება.

„მნიშვნელოვან და საპასუხისმგებლო ეტაპზე გადავიდა ბაზვი 2 ჰიდროელექტროსადგურის პროექტი. სრულიად მზად ვართ გზშ-ს ეტაპ-

პისთვის. მდინარე ბახვისწყლის ხეობა მოგვსენებათ, ჩვენთვის უცხო არაა. ფართომასშტაბიანი კვლევები ვწარმოეთ ჯერ კიდევ შარ-

შან, ბაზვი 1 ჰიდროელექტროსადგურის სამშენებლო პერიმეტრის შესწავლისას. დიდად დაგვეზარება მიღებული ცოდნა და გამოცდილება. ერთიანი სტანდარტით ვაგრძელებთ მუშაობას. აქაც, ისევე როგორც სხვა პროექტებში მაღალკვალიფიციური პროფესიონალები არიან დასაქმებული ასევე, ჩართულნი არიან საერთაშორისო დონის ექსპერტები როგორც გარემოსდაცვითი და სოციალური პროგრამირების კომპონენტში, ასევე სამშენებლო - ტექნიკურ ნა-

წილში. ვფიქრობ, დროულად ჩავაბარებთ გარემოს ეროვნულ სააგენტოს გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშს და შევხვდებით მთისპირის მოსახლეობას საჯარო განხილვაზე“ – განაცხადა გიორგი აბრამიშვილმა, ბაზვი ჰესის პროექტის ხელმძღვანელმა.

ბაზვი 2 ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობისა და ექსპლუატაციის პირობების ცვლილების სკოპინგის ანგარიში სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოს ჩაბარდა 2022 წლის 2 ივნისს და ოფიციალური გვერდზე



გასაჯაროვდა 2022 წლის 6 ივნისს. სკოპინგის ანგარიშის საჯარო განხილვა 2022 წლის 22 ივნისს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელი მთისპირის ადმინისტრაციული ერთეულის შენობაში ჩატარდა. გარემოს ეროვნული სააგენტოს დასკვნა კი გამოქვეყნდა 2022 წლის 19 ივლისს.

ბახმართში ახალი, ენერგოეფექტური LED განათების სისტემის სამონტაჟო სამუშაოები დაიწყო

კურორტ ბახმაროს ცენტრალურ ქუჩაზე 4.5 კილომეტრის სიგრძის მონაკვეთზე ენერგო ეფექტური ლედ განათების სისტემის სამონტაჟო სამუშაოები 1 ივლისიდან დაიწყო და სწრაფი ტემპებით მიმდინარეობს. სამუშაოების პირველი ფაზა 19 აგვისტოსთვის დასრულდება. საბოლოოდ პროექტი 30 სექტემბრისთვის ჩაბარდება მოსახლეობას.



პროექტის მიხედვით, ბახმაროში 4.5 კილომეტრის სიგრძეზე განათების 130 ახალი ბოძი უნდა დამონტაჟდეს და ენერგოეფექტური LED სისტემით განათდეს. 50 ბოძი უკვე შეცვლილია, დანარჩენი 80 ბოძისთვის ფუნდამენტი გათხრილი და მომზადებულია. სამუშაოები საკმაოდ სწრაფი ტემპით მიმდინარეობს და შეიძლება ითქვას, რომ სამუშაოების 50% უკვე შესრულებულია.

ალსანიშნავია, რომ ბაზვი ჰესის სოციალური პროგრამის მიხედვით, პროექტზე ადგილობრივი მოსახლეობის, კონკრეტულად კი სოფელ ჩხა-

კაურაში მაცხოვრებელი 8 ადამიანის დასაქმება მოხდა.

სამუშაოების პირველი ეტაპის დასრულება აგვისტოშია დაგეგმილი, რაც თავის მხრივ გულისხმობს, ბახმაროს დასახლებული ნაწილის, კერძოდ, სატყეო და აჭარის ქუჩების ახალი სისტემით განათებას. სექტემბრისთვის კი განათდება სრული 4.5 კილომეტრიანი პერიმეტრი. პროექტი CCEH-ისა და USAID-ის ენერგეტიკული მომავლის უზრუნველყოფის პროგრამის ერთობლივი ძალისხმევით ხორციელდება და ბაზვი ჰესის სოციალური პროგრამის ნაწილს წარმოადგენს.

ქართული ჩაის ფესტივალი თბურგეთში



2022 წლის 29 ივლისს, ოზურგეთში, კერძოდ შეკვეთილში, მუსიკოსთა პარკის ტერიტორიაზე გამართულ ქართული ჩაის ფესტივალს კავკასიის განახლებადი ენერგიის ჰოლდინგის დირექტორი, მიხეილ ნიზლაძე, ბაზვი ჰესის (ბაზვი 1 და ბაზვი 2) ხელმძღვანელი გიორგი აბრამიშვილი, ასევე, პროექტების გარემოსდაცვითი და სოციალური საკითხების გუნდის წარმომადგენლები დაესწრნენ.

ფესტივალზე წარმოდგენილი იყო ქართული ჩაის მწარმოებელი მცირე და საშუალო საწარმოების პროდუქცია სხვადასხვა რეგიონიდან. ასევე, წარმოდგენილი იყო ადგილობრივი მწარმოებლის მიერ წარმოებული თაფლის, ხილის ჩირის, ლეგუმისა და კენკრის ნაწარმი.

ფესტივალის ფარგლებში გაიმართა ჩაის მომზადების მასტერკლასი. საუკეთესო თეთრი ჩაის ტიპის ნელს შპს „ანდიტრს“ ერგო (თერჯოლა), საუკეთესო მწვანე და შავი ბაიხის ჩაის - დავით თენიშვილს (ოზურგეთი, ბაზვი), ხოლო ფესტივალის საუკეთესო ჩაის ტიპის - „ნარგიზის ჩაის“ (ნარგიზ

ლეინჯილია, ნალენჯიხა).

ფესტივალი უკვე მესამე წელია ტარდება გურიაში. მისი მიზანია, დასაქმების ხელშეწყობა, ახალი ბიზნეს კონტაქტების დამყარება, გურიის რეგიონის სამწარმოო პოტენციალის გაცნობა უფრო ფართო საზოგადოებისთვის, ადგილობრივ და საერთაშორისო წრეებში.

„როცა დაგვეგმეთ ბაზვი 1 ჰიდროელექტროსადგურის პროექტი, მაშინვე დავიწყეთ ფიქრი მდგრადი განვითარების სახის პროექტებზე, რომელსაც ჩვენი კომპანია განახორციელებდა როგორც კეთილი ნება და დაუტოვებდა რეგიონს საჩუქრად. ჩავატარეთ მცირე კვლევა და მივხვდით, რომ გუ-

რული ჩაის ფენომენი არ უნდა დაკარგულიყო. მას აქვს განვითარების პოტენციალი. კახეთი ხომ ვაზის სამშობლოა, გურია კი თავისუფლად შეიძლება განვითარდეს, როგორც ქართული ჩაის სამშობლო. 2021 წლიდან USAID-ის ეკონომიკური უსაფრთხოების პროგრამასთან ერთად დავიწყეთ ჩაის ასოციაციის გაძლიერება. ერთად ვზრუნავთ ერთი მხრივ როგორც ჩაის ერთიანი სტანდარტის შექმნაზე, ასევე სტუმარ-მასპინძლობის სექტორში, ჩაის, როგორც გამასპინძლების ელემენტის შემოტანა-განვითარებაზე“ - განაცხადა ჩვენთან საუბრის დროს გიორგი აბრამიშვილმა, ბაზვი ჰესის დირექტორმა.

ფესტივალის ორგანიზატორი იყო გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება (GIZ), საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია და ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერია.

თქვენი მოსაზრებები და შეკითხვები, ჩვენთვის მნიშვნელოვანია!

კომპანია სი-სი-ი-იერ ჰაიდრო VI-ის გუნდი მუდმივად ღიაა თქვენთვის მხარდასაჭერად.

ეს საინფორმაციო გამოცემა სწორედ მოსახლეობასთან კომუნიკაციის ერთ-ერთი საშუალებაა, რომელსაც ყოველთვიური საინფორმაციო ბიულეტენის სახე აქვს.

ჩვენი მიზანია, პროექტის განვითარების სხვადასხვა ეტაპზე, დროული და საინფორმაციო ინფორმაცია მოგაწოდოთ და ასევე, გავივით თქვენი მოსაზრებები და რეკომენდაციები.

გთხოვთ, გავგიზიაროთ კითხვები და მოსაზრებები კომპანიის ელექტრონული ფოსტის მისამართზე: info@cceh.ge


ენებზე ჩვენს ვებ-გვერდს www.cceh.ge და მიიღეთ დეტალური, მუდმივად განახლებადი ინფორმაცია ბაზვი 1 ჰესის შესახებ.

შპს „სი-სი-ი-იერ ჰაიდრო VI“-ის მენეჯმენტი

ბახვი ჰესი

ჩვენ ვგრუნავთ ადამიანებზე, ბუნებასა და რეგიონის განვითარებაზე

ბახმაროს ცენტრალური ქუჩა ენერგოეფექტური ლედ განათების სისტემით განათდა



ფოტო: ზაპარია ჭელიძე

ლედ განათების სისტემა ბახვი ჰესის და USAID-ის ენერგეტიკული მომავლის უზრუნველყოფის პროგრამის პირველი, ერთობლივი პროექტია, რომელიც წარმატებით განხორციელდა ბახმაროში.



პროექტი 2022 წლის 1 ივლისს დაიწყო და საკმაოდ სწრაფი ტემპით დასრულდა. დამონტაჟდა და ენერგოეფექტური LED განათების სისტემით აღიჭურვა 128 ცალი ახალი გოძი. ელექტროსადენები განთავსდა მიწის ქვეშ.

სამონტაჟო სამუშაოები ანარგოა შპს გურია გიზნეს ჯგუფმა O1. პროექტზე, ბახვი ჰესის სოციალური პროგრამის თანახმად, დასაქმებული იყო 8 ადგილობრივი მუშახელი. კერძოდ, სოფელ ჩხაპურას მკვიდრები.


ბახმაროს ცენტრალური ქუჩა ენერგოეფექტური ლედ განათების სისტემით განათდა



ფოტო: ზაქარია ჭელიძე

პროექტის ფარგლებში განათდა ბახმაროს დასახლებული ნაწილი, კერძოდ, სატყეო და აჭარის ქუჩები. ლამპიონები სატატსტო რეჟიმში 19 აგვისტოს განათდა.

საზეიმო სახის ანთება კი 22 აგვისტოს განხორციელდა. განათებას ესწრებოდნენ როგორც ბახვი ჰესის და USAID-ის ენერგეტიკული მომავლის უზრუნველყოფის პროგრამის წარმომადგენლები, ასევე ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერი, დავით შარაშიძე.



გაიმართა პროექტის მიღება - ჩაბარების აქტზე ხელმოწერის ცერემონიალიც.

ერთის მხრივ დოკუმენტს ხელი მოაწერეს USAID-ის ენერგეტიკული მომავლის უზრუნველყოფის პროგრამის უფროსმა ალექსეი სანკონსკიმ და ბახვი ჰესის დირექტორმა, გიორგი აბრამიშვილმა და მეორეს მხრივ, ბახვი ჰესის დირექტორმა გიორგი აბრამიშვილმა და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერმა, დავით შარაშიძემ.



კურორტი ბახმაროს ცენტრალური ქუჩის განათება ბახვი ჰესის სოციალური პროგრამების ნაწილია, რომლის ფარგლებშიც კომპანია დაპირდა მოსახლეობას ბახმაროში განათების სისტემის დამონტაჟებას.

აღნიშნული პროექტი, ბახვი ჰესმა პარტნიორ ორგანიზაციასთან, USAID-ის ენერგეტიკული მომავლის უზრუნველყოფის პროგრამასთან ერთად განახორციელა.

თქვენი მოსაზრებები და შეკითხვები, ჩვენთვის მნიშვნელოვანია!

კომპანია ბახვი ჰესის გუნდი მუდმივად დიალოგის რეჟიმშია ყველა დაინტერესებულ მხარესთან.

ეს საინფორმაციო გამოცემაც სწორედ მოსახლეობასთან კომუნიკაციის ერთ-ერთი საშუალებაა, რომელსაც ყოველთვიური საინფორმაციო ბიულეტენის სახე აქვს.

ჩვენი მიზანია, პროექტის განვითარების სხვადასხვა ეტაპზე, დროული და საინტერესო ინფორმაცია მოგაწოდოთ და ასევე, გავიგოთ თქვენი მოსაზრებები და რეკომენდაციები.

მთხოვთ, გაგზავნათ კითხვები და მოსაზრებები კომპანიის ელექტრონული ფოსტის მისამართზე: info@bakhvi.com.ge

ენვით ჩვენს კორპორატიულ ვებ-გვერდს www.cceh.ge და მიიღეთ დეტალური, მუდმივად განახლებადი ინფორმაცია ბახვი ჰესის შესახებ.

ბახვი ჰესის მენეჯმენტი

ბახვი ჰესი

ჩვენ ვზრუნავთ ადამიანებზე, ბუნებასა და რეგიონის განვითარებაზე

ბახვი 1 და ბახვი 2
ჰიდროელექტრო
სადგურის
პროექტები

ბახვი 1 ჰიდროელექტროსადგური მდინარე ბახვისწყალზე, დაგეგმილი, მცირე ჰიდროელექტროსადგურის პროექტია.

დადგმული სიმძლავრე - 10.9 მეგავატი;

წლიური გამომუშავება - 43.1 მილიონი კილოვატსაათი.

განსახორციელებელი პროექტი მოქცეულია ჩოხატაურის და ოზურგეთის მუნიციპალიტეტების ტერიტორიებზე.

ბახვი 2 ჰიდროელექტროსადგურის სქემა, მდინარის მოდინებაზე მომუშავე მცირე და საშუალო ზომის სადგურებისგან (ბახვი 2ა და ბახვი 2ბ) შედგება:

ბახვი 2ა სადგური დადგმული სიმძლავრე -11.4 მეგავატი;

წლიური გამომუშავება - 48.6 მილიონ კილოვატსაათი.

ბახვი 2ბ სადგური დადგმული სიმძლავრე - 20.7 მეგავატი; წლიური გამომუშავება - 88.8 მილიონ კილოვატსაათი.

განსახორციელებელი პროექტი მდინარე ბახვისწყალზე, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ უკანავასთან ახლოს არის დაგეგმილი.

ბახვი ჰესის ტრენინგ მოდული უფროსკლასელთათვის მთისპირსა და ჩხაპურაში დაიწყო

2022-2023 სასწავლო წლისთვის შპს ბახვი ჰესმა მოსახლეობასთან შეთანხმებული სოციალური პროგრამის საგანმანათლებლო პროექტების ფარგლებში, არაფორმალური სახის სასწავლო ტრენინგ კურსის პროგრამა განაახლა.

სიახლეა ის ფაქტი, რომ პროგრამა 2022 წლის შემოდგომიდან არა მხოლოდ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ მთისპირის ახალგაზრდებისათვის, არამედ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოფელი ჩხაპურას ახალგაზრდებისათვის საჯარო სკოლაშიც ტარდება. ტრენინგი უფროსკლასელთათვის (9,10,11,12 კლასი) არის განკუთვნილი და მიზნად ისახავს ბავშვებში ცნობიერების ამაღლებას გარემოს დაცვით საკითხებში, ცოდნის გაზიარებას განახლებადი ენერგიის წყაროების შესახებ და ინფორმაციის მიწოდებას პროფესიულ ორიენტაციის საკითხების ირგვლივ, რათა უფროსკლასელებმა იცოდნენ რა არჩევანი აქვთ, როცა გვეგმავენ საკუთარ მომავალს.

„ჩვენი საგანმანათლებლო პროგრამის მნიშვნელოვანი შემადგენელია ტრენინგ კურსი, რომელიც შერშან მთისპირის საჯარო სკოლის უფროსკლასელებს ჩაუტარეთ. დანაპირები შევასრულეთ და წელს, სოფელ ჩხაპურას საჯარო სკოლაშიც ჩაერთეთ ამ პროგრამაში. ვფიქრობ, უფროსკლასელთათვის მნიშვნელოვანი და ნაყოფიერი იქნება ამ კურსის მოსმენა. ბავშვები ბევრ სიახლეს გაიგებენ როგორც გარემოს დაცვაზე, ასევე განახლებადი ენერგიებისა და მათი მნიშვნელობაზე, რა დადებითი ფაქტორები აქვს ეკომეგობრული გენერაციის ობიექტების მშენებლობას და ზოგადად ინფრასტრუქტურული პროექტების განვითარებას სოფლებსა თუ რეგიონებში. დღეს, ჩვენ უკვე შეგვიძლია გამოცდილებაზეც ვისაუბროთ და შემოვიღოთ ვთქვა, რომ წინა სემესტრის კურსით ფრიად კმაყოფილები იყვნენ როგორც ბავშვები, ასევე მათი პედაგოგებიც.

იმედია, წელსაც საინტერესოდ ჩაივლის სწავლება და ახალგაზრდა თაობას ბევრი რამ დაამახსოვრდება ჩვენი ტრენინგების ლექციებიდან, აქ გავიგონო და ნასწავლს კი გამოიყენებენ ყოველდღიურ ცხოვრებაში“, - განაცხადა ბახვი ჰესის დირექტორმა, გიორგი აბრამიშვილმა.

ბახვი ჰესის საგანმანათლებლო პროგრამა ერთწლიანია და მოიცავს 8 შეხვედრას, მათ შორის ერთ ექსკურსიას. შეხვედრები თვეში ერთხელ ჩატარდება. გარემოს დაცვით საფუძვლესა და განახლებადი ენერგიის მოდულს წარუძღვება გიორგი ბერეჟიკიძე, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს, სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს ტყის მოვლა-აღდგენის დეპარტამენტის ტყის დაცვის სამმართველოს უფროსი; პროფესიული ორიენტაციის შესახებ ისაუბრებს ქეთევან ლოჟანიძე, ფსიქოლოგი, „ინსაით“ ჯგუფის დამფუძნებელი და HR მენეჯერი;



მთისპირის საჯარო სკოლა



ჩხაპურას საჯარო სკოლა

კომუნიკაციების შესახებ შეხვედრას ჩაატარებს ხათუნა იოსავა, საზოგადოებასთან ურთიერთობის ექსპერტი, კავკასიის უნივერსიტეტის მონვეული ლექტორი 2015 წლიდან.

ბის ექსპერტი, კავკასიის უნივერსიტეტის მონვეული ლექტორი 2015 წლიდან.

ბახვი ჰესის გარემოსდაცვით და სოციალურ საკითხებზე მომუშავე მრჩეველთა საბჭოს შეხვედრა

2022 წლის 7 სექტემბერს, ბახვი ჰესის მენეჯმენტის და კომპანიის პირდროენერგეტიკული პროექტების გარემოსდაცვით და სოციალურ საკითხებზე მომუშავე მრჩეველთა საბჭოს მორიგი შეხვედრა გაიმართა.

ბახვი ჰესის გენერალურმა დირექტორმა გიორგი აბრამიშვილმა მრჩეველთა საბჭოს გააცნო ბახვი 2 ჰიდროელექტროსადგურის პროექტის გზის ანგარიშის მომზადების პროცესი, ასევე წარადგინა მრჩეველთა საბჭოს ახალი წევრი, ალა მარი, რომელიც ჩხაპურას საჯარო სკოლის დირექტორია. შეხვედრაზე კომპანიის წარმომადგენლებმა მრჩეველთა საბჭოს წევრებს გააცნეს კომპანიის მიერ მართული პროექტების განვითარების ფაზები და სამომავლო გეგმები. ბახვი ჰესის გენერალურმა დირექტორმა სპეციალურად საბჭოს წევრებისთვის მოდერაცია გაუწია ინტერაქციულ განხილვას, რომლის ფარგლებშიც მიმოიხილეს ენერგეტიკის სექტორში არსებული მითები, თუ რა უარყოფით გავლენას ახდენს დეზინფორმაცია და მითები ქართული ენერგეტიკის სფეროს განვითარებაზე.

„საკმაოდ საინტერესო განხილვა გამოვევიდა მრჩეველთა საბჭოს წევრების მონაწილეობით. ჩვენთვის, როგორც დეველოპერებისთვის, ფრიად სასარგებლო იყო მოსმენა, თუ რა მითები არსებობს ჩვენს საზოგადოებაში და ამ მითების საპირწონედ რა რეალობა გვაქვს. ბევრი ჩვენთვის დაზავიერებელი აქცენტი გაკეთდა. ცხადია და არახალია, რომ სამუშაო ჯერ კიდევ ბევრია საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფებთან. აქვე აღვნიშნავ, რომ საინტერესო პროცესია, რომლის დროსაც ორი-

ვე მხარე იღებს ახალ ინფორმაციას, რაც უდაოდ უმნიშვნელოვანესია დეზინფორმაციასთან დაპირისპირების პროცესში“, - განაცხადა, ბახვი ჰესის დირექტორმა, გიორგი აბრამიშვილმა.



ვე მხარე იღებს ახალ ინფორმაციას, რაც უდაოდ უმნიშვნელოვანესია დეზინფორმაციასთან დაპირისპირების პროცესში“, - განაცხადა, ბახვი ჰესის დირექტორმა, გიორგი აბრამიშვილმა.

ბირების პროცესში“, - განაცხადა, ბახვი ჰესის დირექტორმა, გიორგი აბრამიშვილმა.

ბახვი ჰესის პირველი სტიპენდიანტი, მთისპირელი ჯაბა ბოლქვაძე მთავალი ენერგეტიკოსი

ბახვი ჰესის გაცხადებული გარემოსდაცვითი და სოციალური პროგრამის ფარგლებში არსებული სტუდენტების დახმარების პროგრამა 2022 წლის სექტემბრიდან ამოქმედდა. პროგრამის მიხედვით, კომპანია სოფელ მთისპირსა და სოფელ ჩხაკაურაში მცხოვრებ ახალგაზრდებს, რომლებიც სწავლას ენერგეტიკის ან კიდევ, გარემოსდაცვის სპეციალობებზე გადაწყვეტენ, სწავლის საფასურის 80% გადაუხდის.

ამ პროექტის პირველი ბენეფიციარი სოფელი მთისპირის მკვიდრი **ჯაბა ბოლქვაძე**. მან მთისპირის საჯარო სკოლა 2022 წელს დაამთავრა და საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ენერგეტიკის ფაკულტეტზე ელექტრო ინჟინრის სპეციალობით იწყებს სწავლას. პროფესია ჯაბა ბოლქვაძეს, როგორც თავად გვიყვება, უკვე შეჩვეული ჰქონდა, როცა მის სკოლაში ბახვი ჰესმა ტრენინგ კურსი დაიწყო, რომლის ფარგლებშიც უფროსკლასელებს ჰიდროენერგეტიკასთან და გარემოს დაცვასთან დაკავშირებულ თემებს უხსნიდნენ და ასწავლიდნენ. ტრენინგ კურსის ფარგლებში პროფესიული ორიენტაციის კუთხითაც ჩატარდა შეხვედრები. სწორედ ამ შეხვედრებმა და ტრენინგის ფარგლებში მიღებულმა ცოდნამ უზიდაა ჯაბას შეცვალა

ლა გადაწყვეტილება და ენერგეტიკის ფაკულტეტზე ჩაებარებინა. **ჯაბა ბოლქვაძე, სტუდენტი:** „როცა ვაპირებდი უნივერსიტეტში ჩაბარებას და გადაწყვეტილი მქონდა ჩემი პროფესია, დამამთავრებელი კლასის მოსწავლე ვიყავი. ბახვი ჰესმა დაიწყო შეხვედრები ჩვენს სოფელში და გვითხრებდა ტრენინგებს. გამიჩნდა ინტერესი, რომ ამ სფეროში მეცადა ჩემი თავი. ვიყავით ექსკურსიაზე, ვნახეთ კინტრიშა ჰესის მუშაობის პრინციპი. ძალიან დამაინტერესა ამ დარგმა და ავირჩიე ელექტრული ინჟინერიის ფაკულტეტი. ვფიქრობ, ახალგაზრდებს სამომავლოდ ხელს შეუწყობს ეს სიახლე, უკვე ბევრი ახალგაზრდაა დაინტერესებული აღნიშნული პროფესიით. სამომავლოდ დაგვუძნდები მთისპირში და ვიქნები წარმატებული სპეციალისტი ჩემს სფეროში“.

ნანა ჭეიშვილი, მთისპირის სკოლის დირექტორი.
_ როგორ შეაფასებდით პროგრამას, რომელიც გულისხმობს სტუდენტების დახმარებას, თუკი ისინი ჩააბარებენ ენერგეტიკოსის ან გარემოს დამცველის პროფესიებზე?
_ ბახვი ჰესის პროგრამა დიდი სტიმულია ახალგაზრდებისთვის, რომ დარჩნენ სოფელში, ჰქონდეთ სპეციალობა, დასაქმდნენ თავიანთი პროფესიის შესაბამისად. ეს ნაახალისებს მათ სწავლის და შემდგომი მუშაობის პროცესშიც. ახალგაზრდას ეცოდინება, რომ კონკრეტული სასწავლებლის დასრულების შემდეგ ექნება სამსახურის პერსპექტივა საკუთარ სოფელში და რეგიონში. სტუდენტური დაფინანსების პროგრამა ძალიან კარგი სიახლეა ახალგაზრდა თაობის განვითარებისთვის, ასევე, სოფლის გაძლიერებისთვის. ჩვენ ვხედავთ, რომ სოფელს მასობრივად ტოვებენ ახალგაზრდები და მიდიან სხვა ქალაქებში საცხოვრებლად. სწორედ დაგეგმილი მომავალი უზრუნველყოფს მათ სოფელში დამკვიდრე-



ჯაბა ბოლქვაძე

ბას. ასევე, სოფელში გაჩნდა მუხტი ახალგაზრდა თაობაში, რომ სამომავლოდ დაუფლდონ ამ პროფესიებს, დასაქმდნენ და განავითარონ თავიანთი სოფელი.
რეზო ბოლქვაძე, ჯაბა ბოლქვაძის მშობელი
_ როგორ შეაფასებდით იმ ტრენინგ კურსს რომელიც ბახვი ჰესის ორგანიზებით თქვენმა შვილმა გაიარა და რამდენად მნიშვნელოვანია ასეთი ტიპის ნახალისებები ოჯახებისთვის?

_ ძალიან დადებითად შევაფასებ ამ პროექტს. ჩემს შვილს საზღვაო აკადემიაში ჰქონდა გადამწყვეტილი სწავლა, თუმცა, ტრენინგების შედეგად გადამწყვეტა ელექტრული ინჟინერიაზე ჩაბარება. არსებობს დასაქმების იმედი და პერსპექტივა. ეს ძალიან კარგია მთელი ოჯახისთვის. დღეს სწავლის გადასახადის გადახდა ძალიან რთულია. რასაც თქვენ აკეთებთ დიდი ნახალი სებაა ჩვენთვის. ძალიან კმაყოფილი ვარ.

მთისპირის საბავშვო ბაღში სიმღერის გაკვეთილები ამიერიდან ინსტრუმენტის თანხლებით ჩატარდება

ქალბატონი ნანი ცეცხლაძე უკვე სამი წელია მთისპირის საბავშვო ბაღის მუსიკის მასწავლებელია. ის სოფელ ლიხაურიდანაა და მთისპირში კვირაში სამჯერ უწევს ჩასვლა სიმღერის გაკვეთილის ჩასატარებლად. ზაფხულის არდადეგების შემდეგ სექტემბერში საბავშვო ბაღში დაბრუნებულ ბავშვებს ელექტრო პიანინო დახვდათ ბაღში. ეს კი ნიშნავს, რომ სიმღერის გაკვეთილი და საბავშვო ბაღის ზეიმები ამიერიდან ინსტრუმენტის აკომპანიმენტით ჩატარდება.



„არასდროს დამავინყდებია ის დღე, როცა სამსახურიდან მოვდიოდი, გზად მანქანა შემხვდა, გამიჩერეს და ოზურგეთამდე ჩაყვანა შემომთავაზეს. გზაში გაცივანით ერთმანეთი და ბახვი ჰესის მენეჯმენტის წარმომადგენლები აღმოჩნდნენ. ძალიან ბედნიერი ვარ, რომ შევხვდი ამ ადამიანებს. მათ გამომიკითხეს, თუ სად ვმუშაობდი. მოვუყევი ყველაფერი ჩემი საქმიანობის შესახებ და საუბრისას ვახსენე, რომ

პიანინო არ გვქონდა. რამდენიმე დღეში ძალიან კარგი სიახლე გავიგე, რომ ჩვენს საბავშვო ბაღს ელექტრო პიანინო შეუძინეს. ამ ადამიანებს ჰქონიათ მომავალი თაობის მიმართ დიდი სიყვარული. ელექტრო პიანინო მოულოდნელი სიხარულია ჩვენთვის, ჩვენ შესაძლებლობა მოგვეცემა სავსებით პროცესების უკეთესად ჩატარებაში. ბავშვებისთვის დიდი სიხარული მოაქვს ამ ყველაფერს“, - განაცხადა ჩვენთან საუ-

ბარში ნანი ცეცხლაძემ, საბავშვო ბაღის მუსიკის მასწავლებელმა.
მთისპირის საბავშვო ბაღი განთავსებულია ყოფილი ამბულატორიის შენობაში, თუმცა უკვე მზადაა ახალი პროექტი და თანამედროვე, მაღალფუნქციური ბაღის მშენებლობა უახლოეს მომავალში იგეგმება. ამჟამად, საბავშვო ბაღს 21 აღსაზრდელი ჰყავს. დამატებით სამ ბავშვს 2023 წლის იანვრიდან კიდევ ელოდებიან.
„ჩვენს სოფელში ბახვი ჰესის შემოსვლა თითოეულ ოჯახზე დადებითად აისახა. მთისპირის საბავშვო ბაღს შეუძინეს უამრავი ეკოლოგიურად სუფთა სათამაშო, პლასტიკური ტელევიზორი, ელექტრო პიანინო. ეს ყველაფერი გვებმარება აღსაზრდელების განათლების მიღების სწორად წარმართვაში, რისთვისაც მთელი საბავშვო ბაღის პერსონალის სახელით დიდ მადლობას ვუხდით ბახვი ჰესს“, - განაცხადა **ლელა ვაშალიშვილი, მთისპირის საბავშვო ბაღის დირექტორმა**.
ბახვი ჰესი გარემოს დაცვისა და სოციალური პროგრამირების ფარგლებში აქტიურად ახორციელებს საგანმანათლებლო პროექტებს, რომლის ფარგლებშიც მჭიდროდ თანამშრომლობს როგორც მთისპირის საჯარო სკოლასთან, ასევე საბავშვო ბაღთან.

მს უნდა იცოდეთ

ბახვი ჰესი - გარემოს დაცვითი და სოციალური საკითხების მართვა

შრომის უსაფრთხოება

„ჩვენი მიზანია, საქმიანობის წარმართვა შრომის უსაფრთხოების მაღალი სტანდარტების დაცვით, რაც უზრუნველყოფს როგორც კომპანიის მიერ დასაქმებული ადამიანის უსაფრთხოებას, ასევე შესაბამისი ზომების გატარებას ადგილობრივი მოსახლეობის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად“ _ ბახვი ჰესის გარემოს დაცვისა და სოციალური პროექტების მართვის გუნდი

- კომპანიის პრიორიტეტია, შრომის უსაფრთხოების ნორმების დაცვა და დასაქმებულთათვის ღირსეული უსაფრთხო გარემოს შექმნა;
- ბახვი ჰესის სამუშაოებზე უსაფრთხოების უზრუნველყოფა ხორციელდება კომპანიის მენეჯმენტის მიერ შემუშავებული სპეციალური „უსაფრთხოების და ჯანმრთელობის დაცვის გეგმის“ მიხედვით, რომელიც მოიცავს როგორც საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიებების გატარებას, ასევე, IFC-ის საერთაშორისო სტანდარტებს;
- პროექტზე დასაქმებული თანამშრომლები ალჭურვილნი არიან საქართველოს ბაზარზე არსებული საუკეთესო ხარისხის ინდივიდუალური დაცვის საშუალებებით;
- სამუშაო პროცესს მუდმივად აკონტროლებს შრომის უსაფრთხოების ოფიცერი;
- პროექტს ჰყავს ექიმი, რომელიც მუდმივად იმყოფება სამშენებლო ტერიტორიაზე. იგი ალჭურვილია ყველა შესაბამისი სამედი-



ცინო ალჭურვილობით, რათა მზად იყოს ნებისმიერი სირთულის ინციდენტზე რეაგირებისთვის;

- პროექტის მისასვლელი გზის მშენებლობა და მის მიმდებარედ არსებულ პერიმეტრზე განთავსებულია საგზაო უსაფრთხოების შესაბამისი სტანდარტის ნიშნები და მაფრთხილებლები;
- დასაქმებულებს ყოველდღიურ რეჟიმში უტარდებათ უსაფრთხოების ინსტრუქტაჟი და სწავლება, რომლის მიზანია, არა მხოლოდ კონკრეტული სამუშაოს უსაფრთხოდ შესრულება, არამედ ზოგადად შრომის უსაფრთხოების კულტურის ამაღლება დასაქმებულებში.

თქვენი მოსაზრებები და შეკითხვები, ჩვენთვის მნიშვნელოვანია!

კომპანია ბახვი ჰესის გუნდი მუდმივად ღიაა თქვენი რეაქციის მიმართ. ეს საინფორმაციო გამოცემა სწორედ მოსახლეობასთან კომუნიკაციის ერთ-ერთი საშუალებაა, რომელსაც ყოველთვიური საინფორმაციო ბიულეტენის სახე აქვს.

ჩვენი მიზანია, პროექტის განვითარების სხვადასხვა ეტაპზე, დროული და საინფორმაციო ინფორმაცია მოგაწოდოთ და ასევე, გავიგოთ თქვენი მოსაზრებები და რეაქციები.

გთხოვთ, გაგზავნათ პითხვები და მოსაზრებები კომპანიის ელექტრონული ფოსტის მისამართზე: info@bakhvi.com.ge

ენებში ჩვენს კორპორატიულ ვებ-გვერდს www.cceh.ge და მიიღეთ დეტალური, მუდმივად განახლებადი ინფორმაცია ბახვი ჰესის შესახებ.

ბახვი ჰესის მენეჯმენტი